55

ფასი ხალის შაურები

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი სოფელი

№№10-11

ოქტომბერ-
ნოემბერი

ბიბლიოსი
სახელმწ. ალმათის შახვ. №1.
ი. გრიბაჩოვილის – 1/ს
551 1/ 23/XII 28წ



ძველი სოფლის გარდაქმნისათვის.
ღვინის შენახვა და მოვლა
სპეც. ქ. ბერეკაშვილი

შავი ზღვის პირად.

სათესლე სიმინდის გადარჩევა
აგრ. ქ. ქომეთიანი

ქათმის ჰირი
საქ. ექ. მ. მირიანაშვილი

როგორ ვუპატრონოთ დამშეულ ფუტკარს
სპეც. პ. ლოლაძე

ჭარხლის მოყვანა
აგრ. ი. ქურდიანი

მიწად-მოწყობა და კოლექტიური მეურნეობა
ნ. თხინვალელი

როგორ უნდა დაფასდეს შრომა კოლექტიურ მეურნეობაში
ა. ნ—ძე

ქუნთრუშა და ხუნაგი
ექ. გ. მათეშვილი

პარკოვან მცენარეულობის გაშენების უპირატესობა
ნ. ა—ლი

გამოსადეგი ცოდნა

ტფილისი.
1928

გამომცემლობა „ახალი სოფელი“

ᲥᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐ
ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“

გამოდის 1928 წლის იანვრიდან აგრონომ ნ. ᲐᲚᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ საერთო რედაქციით.

ჟურნალს სცემს გაზეთი „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“-ს რედაქცია.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘᲐ: მიაწოდოს მშრომელ გლეხობას აგრონომიული ცოდნა, გააცნოს მას ჯანმრთელობის და მეცნიერების საკითხები გასაგებ ენაზე.

ჟურნალში მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი აგრონომები: მევენახეობაში—ვ. ᲒᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ; მეღვინეობაში—კ. ᲒᲔᲠᲔᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ; მესაქონლეობაში—ვ. ᲪᲘᲛᲑᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔ; მებაღეობაში—ვ. ᲫᲐᲠᲪᲘᲕᲐᲫᲔ; მეტყეობაში—გ. ᲒᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ; სუბტროპიკულ კულტურის დარგში—ᲔᲠ. ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲔ; მემინდვრეობა-მებოსტნეობაში—ნ. ᲐᲚᲔᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ; ტეხნიკურ მცენარეების კულტურის დარგში—ი. ᲫᲣᲯᲦᲘᲐᲜᲘ; მეაბრეშუმეობაში—ᲕᲚ. ᲜᲘᲕᲐᲠᲐᲫᲔ; მეფუტკრეობაში—პ. ᲚᲣᲚᲣᲫᲔ; ვეტერინარიაში საქონლის ექიმი—მ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ჟურნალში ჯანმრთელობის დარგს ხელმძღვანელობს ცნობილი ექიმი ᲘᲕ. ᲒᲣᲯᲐᲠᲗᲔᲚᲘ.

მეცნიერულ პოპულიარულ განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეული არიან მეცნიერული ძალები და სათანადოთ მომზადებული პირები. გარდა ჩამოთვლილ პირებისა ჟურნალში მონაწილეობენ აგრონომები: თ. მეგრელიშვილი, გ. აბესაძე, ი. ჯაში, კ. ლეჟავა, ქრ. ჯაფარიძე (ტფილისი), ნ. ნუცუბიძე (ქუთაისი), პ. ღვალაძე (შორაპანი), ე. ეფრემიძე, არ. კობახიძე (კახეთი) და ვ. შანიძე (გურია).

სპეციალისტები: აპ. წულაძე, ქეთო ყანჩაველი და ვ. უნაფქოშვილი.

თანამშრომლობენ აგრეთვე გამოცდილი სოფლის მეურნეები.

ურნალი გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

!! შეიძინეთ და იკითხეთ თქვენთვის შეტად სასარგებლო ჟურნალი „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“.

ᲜᲐᲚᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ:

1 მ. 50 კ., ექვსი თვით—80 კ., სამი თვით—40 კ.

ცალკე ნომერი 15 კაპ.

მიიღება ყველა ქოხ-სამკითხველოებში და რედაქციაში შემდეგი მისამართით:

ლისი: ვოლოდარსკის ქუჩა № 11 ჟურნალ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ“-ს რედაქციას.



მუშათა, გლეხთა და წითელ არმიის დეპუტატების რაიონის!

ახალი სოფელი

ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო და პოპულარულ-მეცნიერული ჟურნალი

10—11 ოქტომბერი—ნოემბერი 1928 წ.

ძველი სოფლის გარდაქმნისათვის

საწარმოო ძალთა გადიდება ჩვენ სახალხო მეურნეობაში და კერძოდ სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო ხდება.

გლეხის შრომის მანქანების მუშაობით შეცვლა, გლეხის შრომის შემსუბუქება, მათთვის ბუნების ძალთა დამორჩილებით მთლიანად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარებასთან (ინდუსტრიალიზაციასთან).

ინდუსტრიალიზაცია იყო და არის ძირითადი ლოზუნგი (მოწოდება) სოციალისტური მშენებლობისათვის ჩვენში.

საშუალება, რომლის მეოხებით ინდუსტრია (მრეწველობა) და აგრეთვე სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს, არის მძიმე მრეწველობა.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენთვის საკმაო არ არის მარტო კარგი მოსავლიანობა სოფლის მეურნეობაში—ეს ცოტაა, ცოტაა აგრეთვე მსუბუქი მრეწველობაც, რომელიც აწვდის გლეხობას სამომხმარებლო საგნებს, ჩვენ გვესაჭიროება მძიმე ინდუსტრია, ესე იგი ისეთი მრეწველობის განვითარება, რომელიც საწარმოო მანქანა იარაღებს ქმნის.

ინდუსტრიალიზაცია ნიშნავს აგრეთვე ერთსა და იმავე დროს სოფლის მეურნეობის განვითარებას ახალ ტეხნიკურ საფუძველზე. ის ნიშნავს გლეხობისადმი ახალი საწარმოო მანქანა-იარაღების მიწოდებას, გლეხის შრომის შემოსავლიანობის გადიდებას, გლეხობის კოლექტიურ მეურნეობაში, და ძლიერი საბჭოთა მეურნეობაში გაერთიანებას.

ცხადია, რომ მრეწველობის განვითარებაც თავის მხრით დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის განვითარებასთან, რომელიც აძლევს მრეწველობას, როგორც ნედლეულს გადასამუშავებლად, ისე სურსათ-სანოვაგეს და სხვა.

ასეთი ურთი-ერთ კავშირის დამყარებას და გაძლიერებას ყოველნაირად ხელს უწყობს მმართველი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

ამის დამამტკიცებელია ის მოვლენა, რომ დღეს ყოველ გლეხს, ყველა სოფლის მეურნეს აქვს საშუალება თავისი წვლილი შეიტანოს თავისივე მეურნეობის მომავალი გაუმჯობესებისათვის.

ასეთ საშუალებას წარმოადგენს საინდუსტრიალიზაციო მეორე სესხი, რომლის ობლიგაციები (ბილეთები) გამოშვებულია 500 მილიონ მანეთისა. ეს სესხი ყოველნაირ მრეწველობის განვითარებას მოხმარდება.

იმიტომ ვეუბნებით გლეხობას, რომ მათ აუცილებლად შეიძინონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები.

ამით ჩვენი გლეხობა მისთვის ზედმიწევნით საჭირო საქმეს აღწევს. იგი უზრუნველყოფს თავის მეურნეობას საწარმო მანქანა-იარაღებით და ოჯახისათვის საჭირო საგნებით.

ა 920

სოფლის მეურნეობა


ღვინის შენახვა და მოვლა

სუფთა ჭურჭელში გადაღებული ახალი ღვინო სარდაფში ან ღრმათ დამარხულ ქვევრებში ინახება.

რაც უნდა დაბალი ხარისხისა იყოს ღვინო, თუ ის რიგიანათ არის შენახული და მოვლილი **სითბოს, სიცივის** და **ჰაერის** ზეგავლენით მაინც გაუმჯობესდება.

პირველ წელიწადს ღვინო გადაიღება ჟსათუოთ სამჯერ მაინც: დეკემბერში, მარტში ან აპრილში და სექტემბერში. მაგრამ ხუთ - ექვსჯერაც იღებენ ღვინოს, რომ მალე დაძველდეს.

როცა ღვინო საღია, ჰაერის მოხვედრა საშიში არ არის, მაგრამ რაც მეტ სიძველეში შევა ღვინო, მას ჰაერი უფრო ნაკლებათ უნდა ხვდებოდეს. **ამისათვის ახალ ღვინოს ღიათ იღებენ და ძველ ღვინოს დახურულათ.** ახალი ღვინო ისე უნდა ჩამოჟშვათ ჭურჭელში, რომ ჰაერმა გაუაროს და ჩაასხათ სხვა სუფთა ჭურჭელში; ძველ ღვინის ჭურჭელს ისე მოუწყობენ გაღასაღებ მანქანას, რომ ღვინოს არ ხვდება ჰაერი გადაღების დროს. (იხ. სურ.)



ღვინის გადაღება დაფარულად.

როცა ღვინოს დასაძველებლათ ასხამენ ბოთლებში, მას ჰაერი არ უნდა მოხვდეს, თორემ ჟსათუოთ ავნებს.

შავი ზღვის პირად

ეწინ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლხეთი ერქვა, სადაც დღეს აჭარა, გურია, სამეგრელო და აფხაზეთია. ეს ის კუთხეა, რომლის სილამაზეს უმღერიდნენ, ქებას ასხავდნენ და სწერდნენ, ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის და სხვა ქვეყნების და ჩვენი მწერლები და მომღერლები.

ეს ქვეყანა თავისი სუბტროპიკული (თბილ ქვეყნების) ჰავით იაპონიის ბუნებას უახლოვდება და შესაძლებლობას იძლევა ჩაის, დაფნის, თამბაქოს, ნარინჯოვან და სხვა ბრწყინვალების გაშენებისას.

უკვე 30 წელია სწარმოებს ორ დიდ საცდელ სადგურზე — ბათომისა და სოხუმის ბოტანიკურ ბაღებში სხვადასხვა ცდები ამ მცენარეების ჩვენი ქვეყნის პირობებთან შეგუებაზე და გამოყენებაზე.

მშვენიერია და წარმტაცი შავი ზღვის ლამაზი სანაპიროები; არა ერთი და ორი სიტყვა დაწერილა და თქმულა ამაზე.

ამ წერილის დანიშნულებაა — აღვნიშნოთ, თუ როგორი მიმართულებით მიმდინარეობს ეხლა საცდელი მუშაობა და რა შედეგებს მიაღწია მან.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელია — ტყავის მოსაწნელი მასალა, რომელიც ბათომის ბაღის ლაბორატორიამ გადასცა ტყავის ქარხანას (დაბახანას), სოხუმის საცდელ სადგურმა კი ქაფურა საავადმყოფოებს.

ღვინის მოვლის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჭურჭლის სისუფთავეს, რომ ჭურჭელმა არავითარი გემო და სუნი არ მისცეს ღვინოს; ან ჭურჭლის მიზეზით არ გამრავლდეს ღვინოში სხვადასხვა ბაქტერიები, რომლებიც ღვინოს სხვადასხვა ავათმყოფობით დაავადებენ.

უმჯობესია ღვინო დაძველდეს ხის ჭურჭელში და შემდეგ გავიდეს ბაზარზე; მაშინ ღვინო უფრო გაითქვამს სახელს; ეს იმ შემთხვევაში შეიძლება როცა მევენახე—გლეხები კოოპერატიულათ შეკავშირდებიან.

საერთო მარნების და სარდაფების აშენება, მათი მოწყობა და გამოცდილი მეღვინის მოწვევა მხოლოდ კოოპერატივს შეუძლია.

როგორ ძველდება ღვინო

ახალსა და ძველ ღვინოში დიდი განსხვავებაა; თუ ღვინო კარგათ არის მოვლილი, რაც უფრო ძველია მით უკეთესია; ზოგი ღვინო გამძლეა, დიდ ხანს ძველდება და თანდათან უმჯობესდება; ზოგი კი სიძველეს მალე მოათავებს და შემდეგ უფრო და უფრო მდარდება. **ეს დამოკიდებულია ღვინის შემადგენლობაზე.**

დაძველების ხანაში სამი უმთავრესი მოვლენა ხდება ღვინოში: 1) უჩნდება **ბუკეტი** (სურნელება) (ეთერიფიკაცია); 2) ჰაერის მჟავბადის შეერთებით დაძველება (იჟანგება) და 3) დალექვა (იწმინდება).

ბუკეტის განვითარება ღვინოში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი სიმაგრე (ალკოგოლი) და სიმჟავე აქვს ღვინოს; ბუკეტი უჩნდება მას: დროს განმავლობაში ალკოგოლი და სიმჟავე ერთი მეორეს ჭიმიურათ უერთდებიან და შეერთების დროს ჩნდება ეთეროვანი სურნელოვანება ანუ ბუკეტი, რაც ძველ ღვინოს ახასიათებს. ეს სულ ერთია ღვინო ბოჩკაში ასხია თუ ბოთლში.

ღვინო რომ დაძველდეს, მას უნდა ხვდებოდეს ჰაერის მჟავბადი; მჟავბადის გავლენით ღვინო, ასე ვსთქვათ, ჟანგდება; მჟავბადი ღვინოში უერთდება სხვადასხვა შემადგენლობას, განსაკუთრებით კი ტანინს (მწკლარტე

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა დუნეთ მიმდინარეობს. თად: ბათომის ბაღს ეძლევა 25 ათასი მანეთი წელიწადში, რაც მუშა-მოსა-



სოჭუმის ბოტანიკურ ბაღის **ერთ-ერთი ხეივანი**

ადგილობრივ ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) სიმცირის გამო. მსახურეებს და ბაღის შენახვას ვლივს ჰყოფნის.

ნივთიერება); ღვინის ზოგ შემადგენლობას ახევებს ანუ ამაგრებს, რომლებიც ჭურჭლის ძროზე დაილექებიან, მაგალითად, ფერის მიმცემი ნივთიერებანი; ღვინის ზოგ შემადგენლობას სუნს და გემოს აძლევს და ღვინოს ბუკეტი ემატება.

მჟავბადის გავლენით წითელი ღვინო მოყვითალო ფერს ღებულობს, თეთრი ღვინო კი იღებს **მადერიზაციას,** (ამზგავსებს მადერის ღვინოს) როცა მას მჟავბადთან ერთად სითბოც მეტი აქვს.

ღვინის დაძველებაზე დიდი გავლენა აქვს სითბოს, სიცივეს და სინათლეს.

როცა ღვინო ბოთლებშია შენახული დასაძველებლათ, სინათლეს განსაკუთრებით გავლენა აქვს. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ სინათლე მალე აძველებს ღვინოს ბოთლში. სადაც საშვალება აქვთ, ბოთლების საწყობი მუდმივ ელექტრონით არის განათებული.

ხის ჭურჭელი ფოროვანია და შიგ ჰაერი ადვილად ატანს და ღვინოც შესაფერისად ძველდება.

ქვევრი ღვინის დასაძველებლათ არ ვარგა: მეტადრე მაშინ, როცა ის დაკირულია ან დაცემენტებულია.

ღვინო საუკეთესოთ ძველდება, როცა ის გრილ სარდაფშია შენახული, სადაც სითბო 8—12 გრადუსამდის არის, სარდაფში ჰაერი სუფთაა, იქაურობას ნელა-ნელა ხვდება ჰაერი და ღვინოც ხის ჭურჭლის ფოროვანობის გამო ადვილათ ითვისებს ჰაერის მჟავბადს.

დაწინაურებულ მეღვინეობის ქვეყნებში (საფრანგეთში, და სხვაგან) ახლა მრავალ ცდებს აწარმოებენ ხელოვნურად ღვინის დაძველების დასაჩქარებლათ.

საქმე იმაშია, რომ რაც მალე დაძველდება და ადრე ივარგებს მაზარზე გასატანათ ღვინო, ეკონომიურად ის უფრო ხელსაყრელია მწარმოებლისათვის.

სიცივის, სითბოს, სინათლის და ელექტრონის საშუალებით და დახმარებით ღვინოში აჩქარებენ ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებს (ცვლილებებს)

ბათომის ბოტანიკურ ბაღის სივრცე უდრის 112 ჰექტარს. მის საცდელ სადგურზე ეხლა სწარმოებს შესწავლა ისეთი კულტურების (მცენარეების), რომლებიც აჭარისტანის ეკონომიურ ცხოვრებაში თანდათან იკიდებს ფეხს.

ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩაის, რომლის შესწავლა და გამოკვლევაც სწარმოებს ჩაის საცდელ სადგურზე (ჩაქვის ჩაის ფაბრიკაში).

ჩაის კულტურის (გაშენების) ბედიღბალი საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს ხელშია.

ამ საზოგადოებამ 1926 წელს გააერთიანა ჩაის ყველა დიდი პლანტაციები—ყოფილი საუფლისწულო, ოზურგეთისა და პაპოვისეული მამულები.

პლანტაციებს უჭირავს 500 დესეტინა, მთელ სანაპიროებზე კი 650 დეს. შარშან უკვე დაითესა 600 დესეტინა და წრეულს კი 1500 დესეტინაღა ასულა.

ამ საზოგადოების დანიშნულებაა ჩაის კულტურის გავრცელება გლეხთა მეურნეობებში, და ამ მიზნით გლეხობას ეძლევა სუბსიდია, (დახმარება) 400 მანეთამდე ჰექტარზე.

საქმე იმაშია, რომ ჩაის პლანტაციები მოსავალს იძლევიან მხოლოდ 4-5 წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში „საქართველოს ჩაი" გლეხობას აძლევს ფულს, ურიგებს თესლს, ეხმარება რჩევით, აარსებს ახალ ფაბრიკებს, მოსახლეობასთან დასაახლოვებლად, რათა პლანტაციების ფარგალი (მანძილი) ფაბრიკების ირგვლივ 7-8 კილომეტრზე

და ამნაირათ მის ადრე დაძველებას.

როცა ჩვენ კოოპერატივებს შესაფერისად მოწყობილი ღვინის შესანახავი ალაგები და სხვა ხელშემწყო პირობები ექნებათ, ადვილათ შესძლებენ ადრეულად ღვინის დაძველებას და იმავე წელში ბაზარზე გატანას, რაც დიდ ნივთიერ შეღავათს მისცემს გლეხობას.

ადრეულათ დაძველება აუცილებელია უბრალო ღვინოებისათვის, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით გასაღდეს ბაზარზე; უბრალო ღვინო რომ წლობით გაჩერდეს დასაძველებლათ, ეს ძრიელ საზარალო იქნება; ამისათვის უბრალო ღვინოებს ხელი უნდა შეეწყოს, რომ რაც შეიძლება სწრაფათ დაძველდნენ; ამისათვის ხშირად უნდა გადაღოს, ადრე დაწებოვდეს, ხელოვნურათ შექმნილ სითბოში (პასტერიზაცია) და სიცივეში გატარდეს და სხ.

ეხლა ძრიელ გავრცელებულია მაგარი ტკბილი ღვინოების დაყენება, რადგან ბაზარი ძრიელ შეეჩვია ამგვარი ტიპის ღვინოების ხარჯვას; ასეთი ღვინოები რომ სუფრის ნაზი და მეტი არ იყოს.

ჩაქვის ფაბრიკა სეზონში (კრეფის დროს) ამზადებს 500 ათას გირვანქა გამხმარ ჩაის. ლონდონიდან იწვევს ექსპერტ-ტექნიკოსს, რომელიც ფაბრიკის ტექნიკურ ნაწილს ხელმძღვანელობს.


თავი ღვინოებივით გრილ სარდაფში მოთავსდეს, მათ დაძველებას არაფერი გაეწყობა; ამგვარი ღვინოებისათვის აუცილებელია სითბო და სინათლე, რომ დროზე დაძველდნენ და ივარგონ ბაზარზე გასატანათ.

ამისათვის ხსენებული ტიპის (სახის) ღვინოები ხის ჭურჭელში გააქვთ ვარეთ მცხუნვარე მზის სხივებზე ღია ჰაერზე, ან ათავსებენ ხელოვნურათ გამთბარ სადგომებში, სადაც სითბო 60—70 გრადუსამდის და მეტსაც აღწევს.

ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲘ.

ძველი საღი ღვინის ლექი შესდგება კრემორტარტარის (ღვინის მარილი) და საღებავი ნივთიერებებისაგან; სიცივის გავლენით კრემორტარტარი ეცლება ღვინოს და მკვრივად ეკვრის ჭუჭელის გვერდებს ან ილექება ძირზე; საღებავი ნივთიერებანი კი მეავბადის და სიცივის ზეგავლენით ილექებიან.

ძნელათ შეინახება, ღვინო ისე, რომ მას ლექი არ გაუჩნდეს.



ეთერის ზეთის ხის გაშენება სოხუმის ბოტანიკურ ბაღში

წრეულს საძირკველი ჩაეყარა უდიდეს ქარხანას, რომლის წარმოე-

ღვინო თუ ისეთი ჭურჭელში არის შენახული, რაშიაც ჰაერს არასგზით ჩასვლა არ შეუძლია, სავსებით დამუშავებულ ღვინოში ღვინო არ გაჩნდება, მაგალითად, ბოთლში, როცა მას თავი ისე აქვს დაცობილი, რომ საცობში ჰაერი ვერ ატანს.

შენახვის და ძოვლის ხანაში ღვინო უფრო და უფრო ცოტას ილექავს და იწმინდება.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ღვინოს დაძველება უკეთესად და უფრო ჩქარა ხის ჭურჭელში ხდება, მაგრამ ხის ჭურჭელში ღვინო ინახება სამიოთხი წლის განმავლობაში, შემდეგ კი ის სიკეთეს აღარ იძენს, პირიქით ხარისხი აკლდება და ღვინის მდგომარეობა სახიფათოა; ამისათვის სამიოთხი წლის შემდეგ ღვინოს ხის ჭურჭელში აღარ აჩერებენ.

ღვინო რომ უცვლელათ დარჩეს ან ნელა-ნელა დაძველდეს, მას ასხამენ ბოთლებში, რომ ნაკლებათ მოხვდეს ჰაერი; მაგრამ ბოთლის საცობი (პრობკა) ფოროვანია და ჰაერი ატანს; საცობში რომ ჰაერი არ ჩავიდეს, ამისათვის საცობს პარაფინით, ლუქით ან გუდრონით ფარავენ, რაც საკმაოდ კარგად იფარავს ღვინოს ჰაერისაგან

მშრალი საცობი უფრო ფოროვანია, სველი საცობის ფორები უკედ დახშულია და უფრო ნაკლებ ჰაერს უშვებს. ეს პირობები გავლენას ახდენენ ბოთლში ღვინის ადრე თუ გვიან დაძველებაზე.

მაგრამ დროს განმავლობაში, ასე ვთქვათ, ღვინო ერთიანდება და მისი თავისებური თვისება ითქვიფება იმ შემადგენლობებში, რომლებიც ღვინოში ჩნდებიან ქიმიური და ფიზიკური პროცესებით (ცვლილებებით).

ზოგი ღვინო საუკუნოებით ინახება და არ ფუჭდება, ზოგი რამდენიმე წელიწადს სძლებს; ზოგი ღვინო კი იმავე წელიწადში უნდა დაიხარჯოს. მაგალ. 25—30 წლის კახური საფერავი ისეთივე ცინცხალი და ხალისიანია, 40—60 წლამდის ჟმჯობესდება და დიდხანს ძლებს; იმერული ძველშავი კი ერთ წელიწადში თითქმის ასრულებს დაძველებას.

კოტე ბერეკაშვილი

ბა მიაღწევს ხუთ მილიონ გირვანქამდე.

ჩაქვის საცდელი სადგური ბათომის ბაღის ლაბორატორიითაც სარგებლობს (ცდების დაყენება სასუქების გავლენის შესახებ მოსავალზე).

შედეგები ჯერ-ჯერობით არაა გამორკვეული, რადგანაც, ჩაის საცდელი სადგურის სამი წლის არსებობაში ჯერ მოსავალი არ მოუცია. მაგრამ ლაბორატორიაში წარმატებით სწარმოებს ჩაის დამზადების საკითხები: ჭკნობის, შრობის, დუღილის, გახმობის და სხვა.

ბოტანიკურ ბაღის საცდელ მინდორზე ხდება შესწავლა მრავალ ახალ მცენარეულობის. მაგალითად, ეთერმჭონე მცენარეულობის.

ტეხნიკურ კულტურებიდან (მცენარეულობიდან) ითესება საფეიქრო

...ცენარეულობა, განსაკუთრებით ჩინური ჭინჭარი და ახალზელანდიური სელი. ლუფაზე (სამაჩალკო გოგრა) წარმოებული ცდები, დაწყებული 1925 წლიდან, იმდენად ზედმიწევნით დაგვირგვინდა, რომ მის ნათესებს უჭირავს 50 დესეტინა და ეს მცენარე ძალიან გავრცელდა აჭ. დესეტინა იძლევა 20 ათასამდე ცალ ნაყოფს, რომელიც დამზადების შემდეგ თითო 10-20 კაპ. იყიდება.

გამონახულია ახალი წყარო ტყავეულობის მოსაჭნელ მასალებისა: მიმოზები (ავსტრალიის აკაცია) მდიდარია ტანიდებით (მწკლარტე ნივთიერებით), ყვითელი ყვავილი, რომელსაც ჩვენში „მიმოზა“-ს ეძახიან —სრულიად შეთვისებულია ჰავას და იძლევა 20-25 პროცენტ ტყავეულობის მოსაჭნელ მასალას.



სათესლე სიმინდის გადარჩევა

ჩვენში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს **სიმინდის მოყვანას**, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოსათვის, სადაც ის მიწის მუშის ოჯახისა და მის საქონლისათვის უმთავრეს საკვებს წარმოადგენს.

თუმცა, ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენში სიმინდს, მაგრამ სხვა ქვეყნებთან შედარებით მოსავალი აქ გაცილებით ნაკლებია.

ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენში არც ნიადაგის სათანადო დამუშავების და, არც **სათესლე მასალის გადარჩევას** არ აქცევენ საჭირო ყურადღებას. სიმინდის ყანისათვის ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს გადარჩეულ თესლს, როგორც პურის ყანისათვის.

როგორ უნდა გადავარჩიოთ სათესლე სიმინდი.

სათესლე სიმინდის არჩევა შემოდგომაზე ყანაშივე უნდა დავიწყოთ. ამისათვის უნდა დავიაროთ ყანა მოტეხის წინ და საუკეთესო მცენარეებიდან კარგი ტაროები ავარჩიოთ.

სიმინდი, რომლიდანაც ავიღებთ ტაროს, **კარგად განვითარებული, სრულებით ჯანსაღი და ღონიერი მცენარე უნდა იყოს.** ასეთი მცენარესაგან აღებული ტაროს თესლებიც კარგი იქნება და შთამომავლობასაც კარგს მოგვცემს.

ხუსტ-ღეროიანი და მრავალ ტაროიანი მცენარისაგან არ ვარგა ტაროს აღება.

როგორც ზეთის მიღების მხრივ, ისე მალარიან მდებარეობის (ჭაობების) ამოშრობის მიზნით ძალიან ძვირფასია **ჭინაჭინის ხის** (ევკალიპტის) გაშენება. ეს სწორად ამართული ხეები საუკეთესოდ აშენებენ ჭაობიან ადგილებს.

სოხუმის (აფხაზეთის) საცდელი სადგური არსებობს 1892 წლიდან. ის აწარმოებს არამც თუ თბილ ქვეყნების მცენარეულობის შესწავლას, არამედ ჩრდილეთის პურეულისასაც.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს აქ ცდები თამბაქოს წარმოებაში. აფხაზეთში მთლად დათესილია 12.000 დესეტინა მაღალხარისხოვანი თამბაქოთი, რომელიც იხმარება დაბალხარისხოვან თამბაქოს გასაუმჯობესებლად.

ბალი გარეგნულად მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს: ღამაზად დაგეგმილი ბამბუკის, ზეთის ხილის ხის, დაფნის, თავშეკრეჭილი ღვიის, მაგნოლიების, პალმების და სურნელოვან ვარდების ხეივნები, დიადად გამოიყურებიან და ხელთუქმნელ წალკოტს წარმოადგენენ.

აი უკანასკნელი ცნობები, რაიც თავაზიანათ გადმომცეს ორივე ბაღების საცდელ სადგურთა ხელმძღვანელებმა და თან გზა და გზა შემომჩივლეს ხელმოკლეობაზე, სიღარიბეზე.

იმედია, ამ სამეცნიერო დაწესებულებებს მეტი ყურადღება მიექცევა, რადგანაც ეს დაწესებულებები წარმოადგენენ ჩვენს სიამაყეს და წყაროს მომავალ შემოსავლიანობისას. საჭიროა ელექტროფიკაციაქმნილ იქნან და უფრო გამშვენიერდეს ეს ჩვენი ქვეყნის უმშვენიერესი კუთხეები, რომელიც ძველად ცნობილი იყო **კოლხეთის** სახელით.

მგზავრი ლ.

სათესლეთ აღებულ ტაროს **გძელი ყუნწი** (ფესი) არ უნდა ჰქონდეს და **ფუჩეჩი ფოთლებათ არ უნდა ქონდეს გადაქცეული.**

ყანაში სიმინდის ამორჩევის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ კარგად განვითარებულ მცენარისაგან აღებული ტაროც ისეთივე ჯანსაღ და კარგ მცენარეს და ნაყოფს მოგვცემს, როგორც მისი წარმომშობი იყო.

ასე არჩეული და მოტეხილ ტაროებს ფუჩეჩი უნდა მოვაცილოთ და ცალკე დავალაგოთ გასაშრობათ და შესანახად.

სათესლე ტაროების ამორჩევა მოსავლის საერთო მოტეხვის და გადარჩევის დროს შეიძლება, რადგან ყანაში გავლით შეიძლება ბევრი კარგი ტარო გამოგვრჩეს და არ მოვტეხოთ.

ტაროები, რაც შეიძლება ბევრი უნდა გადაირჩეს, რომ გაზაფხულზე, დათესვის წინ ხელმეორედ გადარჩევის დროს, უფრო საუკეთესო ავარჩიოთ და შენახვის დროს გაფუჭებული ტაროები სრულებით გამოვაცალოთ.

უმჯობესია ყოველთვის ორჯერ მეტი მაინც გადავარჩიოთ, ვიდრე სათესლედ დაგვჭირდება.


სათესლე სიმინდის შენახვა დათესვამდე

ასეთი გადარჩევის შემდეგ, უნდა ვეცადოთ შრომა ტყუილად არ დავკარგოს და ტაროები კარგად შევინახოთ. თუ შენახული არ არის ისე როგორც საჭიროა, მაშინ რაც უნდა კარგი ტარო გვქონდეს აღებული თესლად, ის აღარ ივარგებს, და გაღივების უნარი დაკარგული ექნება.

სათესლედ გადარჩეულ ტაროებს ფუჩეჩი უნდა შემოაცალოთ, რადგან ფუჩეჩში შეხვეული ადვილად დანოტიავდება და ჩალპება.

ფუჩეჩ გაცლილი სიმინდი **კარგად უნდა გაახმოთ და წმრალ ადგილას შეინახოთ,** სადაც თაგვები ვერ მიუდგებიან.

სათესლე სიმინდი ტაროებად უნდა შევინახოთ, რადგან დაფშვნილ სიმინდმა ჩახურება და გაფუჭება მალე იცის. სათესლე სიმინდის შესანახად ზოგჯერ დაუტოვებენ ფუჩეჩის რამდენიმე ფურცელს, რომლითაც გადააბავენ ერთი მეორეზე ტაროს და ისე ჩამოკიდებენ. შეიძლება ტაროები თოკით ერთი-მეორეზე გადავაბათ და ისე ჩამოვკიდოთ მშრალ შენობაში, სადაც ჰაერი კარგათ მოძრაობს (ბეღელში, სხვენზე).



სათესლე ტაროების შენახვა.

სათესლე სიმინდის გადარჩევა დათესვის წინ

დათესვის წინ კიდევ ხელმეორედ უნდა გადაირჩეს ტაროები, რაიმე მიზეზისაგან გაფუჭებული გამოეცლება, ამ გადარჩევის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ტაროს მოყვანილობას და მარცვლებს.

პირველ ყოვლისა **ტაროს უნდა იყოს გრძელი და შესაფერი სიმსხოსი და სწორი.**

მოლუნული ტაროს სათესლეთ არ ივარგებს.

ტაროს წვერი და ბოლო კარგად უნდა ჰქონდეს ამოვსებული მარცვლებით. ასეთი ტაროს მეტი ბარაქიანია მასზე მეტი მარცვლებია და გამოსავალიც კარგი აქვს.

აგრეთვე ყურადღება უნდა მიაქციოთ ტაროზე მარცვლების რიგებს. **რიგები სწორი უნდა იყოს** და მარცვლებიც მჭიდროთ მიწყობილი ერთ მანეთზე.

ტაროს **ნაქუჩი ნაგუდა წვრილი უნდა ჰქონდეს**, რადგან წვრილ ნაქუჩზე მარცვლები გრძელია და სათესლედ ასეთი სწორედ კარგია.


გორც პურის მარცვლებზე ვიცით, აქაც მსხვილ და კარგად განვითარებულ მარცვლისგან უფრო კარგი მცენარე განვითარდება.

სათესლედ გადარჩეული ტაროები აუცილებლად ხელით უნდა დაიფშვნას, რადგან მანქანაზე ადვილად შეიძლება მარცვლის დაზიანება, ჩანასახის გაფუჭება და ამ გვარად სათესლე მასალის დაკარგვაც.

თვით სათესლე მარცვალიც საუკეთესო უნდა იყოს

მარტო საუკეთესო ტაროს ამორჩევას არ ეკმნება ფასი, თუ ზედ განწყობილი მარცვლები საუკეთესო არ არის.

პირველ ყოვლისა **მარცვალი სალი უნდა იყოს**, დავაადებულ თესლიდან



კარგი ტაროს ნიმუში

იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება რომ ტაროს ყუნწი არ იყოს ძალიან წვრილი და ტაროზე მარცვლების რაც შეიძლება ბევრი რიგები იყოს.

ყველა ზემოთ აღნიშნული თვისებები, რომ თავმოყრილი იყოს ტაროში, ეს, რასაკვირველია, იშვიათია, მაგრამ თუ ამ თვისების მეტი წილი ახასიათებს ტაროს, მაშინ ის სათესლედ გამოსადეგია.

ამ რიგად გადარჩეულ ტაროებს **წვერი და ბოლო უნდა გამოვაფშვნათ.** ეს აუცილებლათ ასე უნდა ვქნათ, რადგან რაც გინდ კარგი ტარო იყოს, მაინც წვერში და ბოლოში მარცვლები უფრო პატარებია, ვიდრე შუა ტანის ნაწილში. როშეიძლება სულ არ ამოვიდეს ან და სუსტი მცენარე განვითარდეს.

მარცვალი თანდათანობით უნდა წვირლდებოდეს და **პრტყელი, საშუალო სიფართის უნდა იყოს.**


ჩანასახი დიდი უნდა ჰქონდეს და ნათელი ყვითელი ფერისა.

რაც უფრო ჩანასახი დიდი აქვს მარცვალს, მით უფრო ღონიერი და კარგი მცენარე დაიზრდება, განვითარდება.

თუ ჩანასახი მოშავო ფერისაა და შავი პატარა წერტილი აქვს, **ეს** დაზიანების ნიშანია და სათესლეთ, რა თქმა უნდა, **არ** ივარგებს.

სათესლე სიმინდის გაღვივების უნარიც უნდა გამოკვარძვიოთ

სანამ სათესლე ტაროებს მარცვლებს შემოვაცლიდეთ, საჭიროა წინასწარ ავიღოთ თვითეულ ტაროდან 5—10 მარცვალით და იმავე წესით,




წვერ და ბოლო მოფშხვნილი სათესლე ტარო.

როგორც პურის მარცვლებისათვის იყო ნათქვამი ჟურნალ „ახალი სოფელი“-ს № 7, 8 და 9 უნდა გამოვარკვიოთ სიმინდის გაღვივების უნარი. ყოველ ხუთ მარცვლიდან, ხუთი დღის შემდეგ, ოთხი თუ გაღვივებულია, ასეთი ტაროს მარცვალი სათესლედ გამოდგება და თუ ამაზე ნაკლებია, მაშინ არ ვარგა.

სათესლე სიმინდი აუცილებლათ უნდა გადაარჩიოთ

სათესლე სიმინდის გადარჩევა, როგორც დავინახეთ, არც ისე ძნელი საქმეა. ამას არც მანქანა უნდა და არც ფული. ოღონდ მეტი გარჯა, გულმოდგინეობა და სურვილია საჭირო. თუ ასე ყოველწლივ გადავარჩევთ სათესლე ტაროებს, ავიღებთ



სურ. 1. კარგი სათესლე მარცვლები.
სურ. 2. ცუდად გალვივებული მარცვლები.
სურ. 3. კარგად გალვივებული მარცვლები.

ჯანსაღ და კარგ მარცვლებს, ჩვენ ყანაში სუსტი და წვრილ ტაროიანი სიმინდი თანდათან მოისპობა და მძლავრი და საუკეთესო მცენარეები გვექნება.

ასეთ ყანაში, რასაკვირველია, მოსავალი გადიდდება და მის დამმუშავებელს მეტი დოვლათი შეექმნება.

ამიტომ, **ნუ დავიზარებთ სათესლე მასალის გადარჩევას, პური იქნება იხ, თუ სიმინდი.**

გაწეული შრომა ერთი ორად ანაზღაურდება.

ნუ დათესავთ გადაურჩეველ თესლს. აგრ. ქ. ქომეთიანი.



ᲥᲐᲗᲛᲘᲡ ᲭᲘᲠᲘ

ქათმის ჭირი საშინელი გადამდები სენია. ჭირი უჩნდება ქათმებს, ინდოურებს, ციცირებს.

წყლის ფრინველები — ბატი, იხვი, გედი, არ ხდებიან ჭირით ავათ.

სენი უჩნდება უფრო მოზრდილ ქათმებს. წიწილებს ძალიან იშვიათად უჩნდება. ჯიშიანი და მსუქანი ფრინველები უფრო ძნელად იტანენ სენს, ვიდრე უხეირო ჯიშის და გამხდრები.

სენის გადადება ხდება ავათმყოფი ფრინველისაგან. ავათმყოფი ფრინველის სხეულის ყველა ნაწილი: ხორცი, სისხლი, ნერწყვი, განავალი და სხვა დასნეულებულია.



სურ. 1. ჭირით დაავადებული ქათამი სიკვდილის წინ.

უმეტეს შემთხვევაში სენი ვრცელდება ბაზარზე ნაყიდ ფრთოსანისაგან.

გავრცელებას ხელს უწყობს ჩვენში არსებული ჩვეულებაც: მინდორში, ქუჩაში და მდინარეში გადაგდება მკვდარი ფრთოსნისა.

თვით ქათმის ჭირს ისეთი თვისება აქვს, რომ ძლიერ სწრაფათ გადადის ქათმისგან ქათამზე და მალე ედება მთელი სოფლის ქათმებს.

ჭირიანი ქათმის გადარჩენა ყოვლად შეუძლებელია.

ᲡᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ

ავათმყოფი მობუზულია, თავი და კისერი ზურგზედ აქვს გადაგდებული ან მიწაზედ მიბჯენილი და სხეული უკანკალებს. კარგავს წონა-წასწორობას და ვეღარ დაიარება სწორედ. თვალები ეხუჭება; თავი და თვალის ქუთუთოები უსივდება, სხეულის კანი დაწითლებული აქვს. სიცხე დიდი აქვს, თითქმის 43—44 გრადუსამდე, ჩვეულებრივი სიცხე 41 გრად.) სიკვდილის წინ თრთის.

ჭირი და ხოლერა ზოგჯერ ექიმისათვისაც ძნელი გასარჩევია და არა ექიმი ხშირათ სცდება.

ამიტომ საჭიროა ყურადღება მიაქციოთ შემდეგ გარემოებებს: **ხოლერათი ყველა შინაური ფრინველი ხდება ავად, ჭირით კი მარტო ქათამი, ინდაური და ციცრები.** ჭირით ავათმყოფი ფრინველი აუცილებლად კვდება, ხოლერათი ავათმყოფებისაგან კი ასზე 5—10 რჩება. ხოლერიან ფრთოსანს კვერცხის მზგავსი ბაქტერიები აქვს, ხოლერის დროს ფრინველს ფაღარათი აქვს, ჭირის დროს კი ხშირათ არა აქვს.

თუ მაინცა და მაინც გაგიძნელდათ სენის გამორკვევა, უნდა ქათმის ლეშს უკანასკნელ სახსარში მოაგრათ თათი და გაუგზავნოთ პაკეტში შეხვეული რომელიმე ლაბორატორიას.

ლაბორატორია სწრაფათ გამოარკვევს სენს და გაცნობებთ შედეგს.

ქათმის ჭირი ადამიანსა და სხვა ცხოველებზე არ გადადის, მაგრამ ჭირიანი ქათმის ხორცი კი მავნებელი ა.

მის წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება მხოლოდ სანიტარული ღონისძიებით. რაწამს გაიგებთ, რომ ფრთოსნებს ჭირი გაუჩნდა ყველა ავათმყოფი ფრთოსანი უნდა მოკლათ და ჩამარ-

ხოთ მიწაში არშინ ნახევრის სიღრმეზე. კარგამყოფები გამოიყვანეთ საქათმიდან და ჯგუფებათ დაყავით, თითო ჯგუფს მიუჩინეთ ცალკე ბინა. რომელ ჯგუფშიაც ავათმყოფობა აღმოჩნდება, მთელი ის ჯგუფი მოსპეთ.

მთელ საქათმეს ეზოს და იმ ბინებს, სადა ავათმყოფობამ იჩინა თავი, გაუკეთეთ დეზინფექცია.

დეზინფექცია უნდა გააკეთოთ ასე: **ჯერ ბეჯითათ დაგავეთ და დაწმინდეთ საქათმე, აფხიკეთ ნიადაგი ერთ ვერშოკზე, ანაფხეკი და ნაგავი მოაგროვეთ და ჩაფალით ლეშებთან ერთათ მიწაში. საბუდრებიდან ამოიღეთ თივა და დაწვით. კირწყალით მორწყეთ იატაკი, კედლები, საბუდრები, ქანდარები, ეზო და სხვა.**



სურ. 2. ხოლერის მიკრობები: დიდი მარცვლები სისხლის წითელი ბურთულებია, პატარები— ხოლერის მიკრობები.

კირწყალი კეთდება ასე: გახსენით 6 გირვანქა დაუშლელი კირი ერთ ვედრო წყალში. კირწყალის მაგიერ შეგიძლიათ იხმაროთ ნაცარტუტი (ერთი ვედრო ნაცარი მოადუღეთ 3 ვედრო წყალში). ხსნარი უნდა იხმაროთ ცხელი.

ᲮᲝᲚᲔᲠᲐ.

ხოლერით ხდებიან ავათ ყველა შინაური ფრთოსანი: ინდოური, ქათიხვი, ბატი, ციცირი და ამით გაირჩევა ეს სენი ჭირისაგან, რომელიც, როგორც ზევით მოვიხსენიეთ ბატებსა და იხვებს არ ეყრებათ.

გარდა ამისა, წიწილები და ზებერი ქათმები ძალიან იშვიათათ სდებიან ხოლერით ავათ.

ხოლერის დამახასიათებელი თვისებაც იგივეა, რაც ჭირისა, ე. ი. სწრაფათ ერცელდება და მოკლე ხანში ედება ძთელ სოფელს და მთელ რიგ სოფლებსაც.

ამავე დროს ხოლერა ჭირივით ძლიერ ავნებიანი სენია: ავათმყოფი იშვიათათ რჩება, იშვიათია, რომ ასი დაავადებულიდან ათი მაინც გადარჩეს.

სენის გამომწვევი მიკრობი სასმელთან და საკენკთან ერთათ შედის საღი ფრინველის სტომაქში, აქედან სწრაფათ გადადის სისხლში და სწამლავს მთელ სხეულს.

მიკრობის სტომაქში შეჭრის შემდეგ გადის რამდენიმე საათი ან ბევრი-ბევრი 1—2 დღე და შემდეგ აჩნდება ფრინველს ხოლერის აშკარა ნიშნები.

აი რა ნიშნები აქვს ხოლერიან ფრთოსანს: ეკარგება ჯამის მადა, მობუხულია, ფრთები ჩამოვარდნილი აქვს, ჯიჯგნილობა გალურჯებულია ან გამავებული, თვალებიდან ცრემლი სდის, ფაღარათი აქვს, განავალი მყრალია, უკანალი დასვრილია, თავი ფრთის ქვეშ აქვს ამოყოფილი, წყალს ძალიან ეტანება.

ᲮᲝᲚᲔᲠᲐ ᲡᲐᲛᲜᲐᲘᲠᲘᲐ:

სამი სახით გვევლინება ფრინველის ხოლერა: **ელვისებური სახის ხოლერა**—როცა ფრინველი უცაბედათ კვდება, **მწვავე სახისა**—როცა სენი გრძელდება 1—4 დღეს და **ქრონიკული (ხანგრძლივი) სახისა**—როცა ფრინველი სენს მოიხდის, მაგრამ ავათმყოფობის შედეგად ფრინველს ფეხების სახსრების სიმსივნე რჩება. (იხილე სურათი).

ვინაიდან დასიებულ სალსრებში ჩირქი დგას და ეს ჩირქი გავსებულია ხოლერის მიკრობებით, საჭიროა ასეთი ფრინველები სხვა ავათმყოფებთან ერთათ დახოცოთ და მიწაში ჩამარხოთ.

თუ როგორ უნდა გაარჩიოთ ხოლერა ჭირისაგან, ამაზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ.

ხოლერით დაავადებულ ფრინველებს არაფერი წამლობა არ შველის.

ჩვენ მას უნდა ვებრძოლოთ აცრით და თავდაცვითი სანიტარული ღონისძიებებით.

რაში მდგომარეობს ეს ღონისძიებანი?

რაც შეიძლება მალე უნდა დახოცოთ ავათმყოფი ფრინველები და მკვდარ ფრინველებთან ერთათ ჩამარხოთ მიწაში არშინ ნახევრის სიღრმეზედ. მათთან ერთათ უნდა ჩამარხოთ საქათმეში მოხვეტილი ნაგავი-განავალი და აფხეკილი მიწა.

საღი ფრინველების სასმელი წყალი შეამჟავეთ **მარილის მჟავათი** (აფთიაქში იყიდება), ერთ ჩაის ჭიქა წყალში ჩაუშვით 10 წვეთი. მარილის მჟავას მაგიერ შეიძლება გამოიყენოთ მძაღა ანუ რკინის შაბიამანი (ესეც აფთიაქში იყიდება)—ნახევარ ჩაის კოვზი ერთ ჩაის ჭიქა წყალზედ.

ᲮᲝᲚᲔᲠᲘᲡ ᲐᲪᲠᲐ.

აცრა შველის მხოლოთ საღ ფრინველებს, ავათმყოფები უნდა მოისპოს და ხოლერის შრატით ააცრევინოთ საღები. შრატი ორ კვირას ყოფნის. შემდეგ კიდევ უნდა გაუმეორდეს. რომ ფრთოსანს სენის მიუკარებლობა (იმუნიტეტი) შესძინოთ ორი კვირის განმავლობაში.

აცრასთან ერთათ საჭიროა ყველა იმ ღონისძიებების მიღებაც. რომელიც ზევით მოვიხსენიეთ (დეზინფექცია).

აცრა შეუძლიან მხოლოდ საქონლის ექიმს, ამიტომ სოფელი მოვალეა მოიწვიოს ის და მისივე შეწყობით ადვილია თვით ასაცრელ შრატის შოვნაც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭირის და ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლა



სურ. 3. ხოლერა მოხდილი ქათმის ფეხები, რომელსაც სახსრები დასივებული აქვს.

თვითეულათ, განცალკევებულათ მიზანს ვერ აღწევს. თუ გვინდა, რომ აცრამ და სხვა სანიტარულმა ზომებმა სასურველი ნაყოფი მოგვიტანონ, უნდა მთელმა სოფელმა, როგორც ერთმა კაცმა უკლებლივ ჩაატაროს აცრა და შეასრულოს ყველა ის ღონისძიება, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ.

საქ. ექ. მ. მირიანაშვილი.

რისგზარ ვუპატრონოთ დამშეულ ფუტკარს

უკანასკნელ დროს გაზეთ „ახალ სოფელს“ კახეთის მაზრის სხვადა სხვა კუთხიდან, (ყვარელი, შილდა) მიღებული აქვს შეკითხვები იმის შესახებ, **რა ზომები უნდა იყოს მიღებული, რომ დამშეული ფუტკარი გადარჩეს დაღუპვას.**

როცა ფუტკრის მოვლაზე ვლაპა-

რაკობთ, თავისთავად იგულისხმება, რომ ფუტკარი მოთავსებულია დასაშლელ, ეგრეთ წოდებულ, ჩარჩოიან, კუნძულურულ სკაში. ამ სკაში მცოდნე მეფუტკრე ადვილად აძლიერებს ფუტკარს, იბრძვის ფუტკრის გადამდებ სენთან და იღებს საჭირო ღონისძიებებს, საფუტკრიდან კარგი შემოსავალი მიიღოს.

ძველებურ, მამაპაპურ სკიდან კი ბევრს ვერას მიიღებთ, რადგან ასეთ სკაში თითქმის სრულებით შეუძლებელია ფუტკრის წესიერად მოვლა.

ფუტკრის ოჯახს, საშუალოს ან ძლიერს, შემოდგომიდან გაზაფხულამდე—სანამ მინდორი და ხეხილი აყვავდებოდეს, საჭიროა არა ნაკლებ 10—16 კილო (25—40 გირ.) საკვები თაფლი ჰქონდეს.

საშუალო და ძლიერ ოჯახათ ის ოჯახი ითვლება, რომელსაც შემოდგომაზე დასაშლელ სკაში ოთხ ხუთ ან ექვს-რვა ჩარჩოზე ჰყავს ბლომად ფუტკარი, ძველებურ სკაში კი (გეჯაში, კოდში, როფში ან სხვა), ნახევარი ბუდე მაინც უნდა იყოს დაფარული ფუტკრით.

სუსტი ოჯახი ცალკე შესანახად არა ღირს, ამიტომ სუსტი ოჯახი უნდა შეაერთოთ იმ ვარაუდით, რომ კარგად აშენებულ ბუდეში (სკაში) საშუალო სიძლიერის ოჯახი მაინც გამოვიდეს.

სრულებით დამშეული ოჯახის შეერთებამდე საჭიროა მიეცეს ცოტა საკვები (შაქრის წყალი) 400 გრამი (1 გირ.) მაინც, თორემ მშიერი ფუტკარი შეერთების დროს წაიჩხუბებიან, მრავალი დაიხოცება და რაც უფრო სახიფათოა, ჩხუბში ადვილად შეიძლება დედა ფუტკარიც დაიღუპოს, უდედო ოჯახი კი ალარ ვარგა.

ფუტკრის შეერთება.

ჩარჩოიან სკებში მოთავსებულ ფუტკარის შეერთება ადვილია. საჭიროა შესაერთებელ ოჯახებს კარგად შეუბოლოთ და ერთ სკას (კარიელი უთაფლო ჩარჩოები მოაშოროთ და იმის ადგილას შესაერთებელ სკიდან ფუტკრით დაფარული ჩარჩოები მოათავსოთ. გადაყვანილი ფუტკარი, რომ ძველ ადგილას არ დაბრუნდეს და ახალი სკის ადგილმდებარეობა დაათვალიეროს, საჭიროა საფრენის წინ რაძოდენიმე დღით პატარა ფიცარი (ნახევარი არშინი სიგრძის და 5—6 ვერშოკის სიგანის) ფარიგით ააყუდოთ.

თუ სკა ძველებურია, საჭიროა ფუტკარი შებოლებით და რაკუნით გამოიყვანოთ სკიდან და სხვა სკაში საფრენიდან შეუშვათ, რისთვისაც საფრენთან უნდა გადაშალოთ დიდი ტილო ან სუფრა და ამ სუფრაზე გადმოყაროთ ფუტკარი, რომელიც თითონ შევა სკაში და მიღებულიც იქნება, თუ წინადვე ერთი დღით ან 12 საათით მიეცემა შაქარ-წყალი. ამ შემთხვევაშიც საჭიროა საფრენის წინ ფარიგით დაუდგათ ფიცარი.

საკვების მიცემა.

დამშეულ ოჯახებს საკვები უნდა მიეცეს შემოდგომის არა უგვიანეს სექტემბერ-ოქტომბრის თვეებისა.

როცა მეფუტკრეს არ აქვს ჩარჩოებში კარგი და საღი სარეზი თაფლი, უკეთესია, შაქრისაგან მომზადებული საკვები მიეცეს.

ეხლა ნოემბერში, როცა ფუტკარი სიცივისაგან კარგათ არ მოძრაობს და მაღლობ ადგილებში უკვე გუნდათ ზის, ძნელია ფუტკრის შაქრით კვება. მაინც თუ კარგი ამინდი კიდევ რამოდენიმე ხანს გასტანს, შესაძლებელია საკვების მიცემა, მხოლოდ არა უმეტეს 6—8 კილოსი (15—20 გირ.) გაზაფხულამდე და 4—6 კილოსი ადრე გაზაფხულზე—მარტის თვეში.

თუ მეფუტკრეს შაქრის შეძენის შეძლება არა აქვს ბევრი ოჯახის შესანახად, მან უნდა შეაერთოს საშუალო ოჯახები, და ამ რიგად რიცხვით შემცირებული, მაგრამ გაძლიერებული სკები გადააჩინოს დაღუპვას,

მით უმეტეს, რომ ჩვეულებრივად მხოლოდ ძლიერი ოჯახები აძლევენ პატრონს შემოსავალს.

გამოწურულ თაფლით კვება ახლა დაუშვებელია, რადგან თაფლი გამოიწვევს საფუტკრეში ფუტკრების შორის სახიფათო ქურდობას და შეძენილ თაფლით ადვილად შეიძლება ფუტკრის დაავადებაც.

შაქრისაგან საკვების გაკეთება შემდეგნაირად უნდა:

საკვების დამზადება.

აიღეთ სუფთა (ძალიან კარგათ გაწმენდილი) ქვაბი, ჩასხით ერთი წილი და ერთი მეოთხედი სუფთა წყალი, მერე ჩაყარეთ ორი წილი სუფთა შაქრის ფხვნილი. (ე. ი. ერთი და ერთი მეოთხედი ვედრა წყალი და ორი ვედრა შაქარი), შედგით ცეცხლზე სანამ არ ადუღდება და დუღილის დროს კარგად ურიეთ, რომ შაქარი არ მიიწვას (დამწვარი შაქარ-წყალი ფუტკარისათვის შავნებელია) როცა ადუღდება, სამი-ხუთი წუთის შემდეგ გადმოიღეთ.

როცა ცხელი შაქარ-წყალი განელდება, უნდა მიეცეს ფუტკარს სხვადასხვა ჭურჭელში. ამისათვის კარგია ჩვეულებრივი თიხის ჯამი, რომელშიც ჩადის ორი გირვანქა შაქარ-წყალი. ერთჯერად ყოველ ოჯახს უნდა მიეცეს 1—2 კილო ($2^1/_2$—5 გირვანქა) და მეტიც შაქარ-წყალი, უკეთესია შუადღის შემდეგ.

ჩარჩოიან სკაში საკვები მიეცემა შემდეგნაირად: ბუდეზე დადგით საკუჭნაო; საკუჭნაოში მოათავსეთ 2—3 ჯამი, ჯამში ჩაყარეთ სუფთა მშრალი თივა, ან ნაფოტი, რომ შაქარ-წყალში ფუტკარი არ დაიხოცოს და მერე ჩაასხით თბილი შაქარ-წყალი. სკა ზევიდან ტომრით და თივით კარგად დახურეთ, რომ შიგ სკაში დათბეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფუტკარი არ მიეკარება შაქარ-წყალს. ამ რიგად მიეცემა ის რაოდენობა (6—8 კილო), რომელიც საჭიროა ოჯახისათვის.

თუ ფუტკარი ძველებურ სკაშია ძოთავსებული, ერთი ჯამი დადგით ბუდეში, იმ ფიჭის გვერდით, რომელზედაც ზის ფუტკარი, თუ ნაპირიდან შორს არის, დანით გამოჭერით ფიჭები. როცა საკვებს მისცემთ, გეჯას სუფთა ტომარა დააფარეთ.

უნდა იცოდეთ, რომ თუ ფუტკარს ზამთრისთვის სადმე შენობაში აბინავებთ, უფრთხილდით ნესტიან შენობას. ნესტიან შენობაში თაფლი და შაქარ-წყალი დამჟავდება და ფუტკარი დაიღუპება.

საკვების დამზადების დროს ეცადეთ, რომ ორ წილ შაქარზე უსათუოდ აღებული იყოს ერთი და ერთი მეოთხედი წყალი, თუ ნაკლებს აიღებთ შაქარ-წყალი ჩაშაქრდება და ოჯახი დაიღუპება. გაზაფხულზე კი ორ წილ შაქარზე აიღეთ ორი წილი წყალი.

გაწურულ თაფლით კვება.

იმ შემთხვევაში, თუ შაქრის შეძენა სოფლად არ მოხერხდება და გაქვთ გამოწურული თაფლი და თუ ნამდვილად არ იცით რომ ეს თაფლი საღი საფუტკრიდან არის, საჭიროა ის 35 წუთის განმავლობაში ადუღოთ რომ ავადმყოფობის სიმყარის გამჩენი მიზეზი (ბაცილები) მოისპოს თაფლში.

ადუღებამდე თაფლი უნდა ცოტა წყლით გაათხელოთ და დუღილის დროს კარგათ ურიოთ, რომ არ მოიწვას.


შემდეგ თბილი თაფლი, საზაფხულო სითხის მაგვარი, მიეცით მხოლოდ საღამოზე. ადრე დილით უსათუოდ უნდა გამოიღოთ თორეც, როგორც აღვნიშნეთ, საკვები თაფლი ფუტკრის ქურდობას გამოიწვევს.

თავი შაქრით კვება.

ზემოაღნიშნულის გარდა კვება შეიძლება თავი შაქრითაც. ამისათვის აიღეთ შაქრის თავი და დახერხეთ (ჩვეულებრივი ხელის ხერხით) ბრტყელ, რგვალ, ნახევარ ვერშოკ

სისქის ნაჭრებათ. ეს ნაჭრები ცოტა უნდა დაინამოს და მოთავსდეს ჩარჩოებზე, ფუტკრის გუნდის თაეზე; როცა შაქარი შეიქმება (კვირაში ერთხელ უნდა გასინჯოთ), მიეცით მეორე ნაჭერი და ასე გაზაფხულამდე. გაზაფხულზე კი უნდა მიეცეს შაქრის სითხე.

პ. ლოლაძე.



ჭარხლის მოყვანა

(გაგრძელება*)

დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმ გარეჭოებას; თუ რომელ მცენარის შემდეგ უნდა დავთესოთ ჭარხალი მინდვრათ. სხვანაირათ რომ ვსთქვათ როგორი თესლთა ბრუნვაა უფრო მისაღები ჭარხლის თესვის დროს

ჭარხლის ადგილი თესლთა ბრუნვაში

საუკეთესო ადგილი ჭარხლისთვის თესლთა ბრუნვის დროს არის—შემოდგომის ხორბლის შემდეგ.

თუ მიწები გამოფიტულია, შემოდგომით ნათესი უნდა გავაპატიოთ საქონლის ნეხვით (ნაკელით). ამ შემთხვევაში კი ვიღებთ ჭარხლის დიდ მოსავალს და ჭარხლის მაღალ შაქრიანობას.

ჭარხლის პირდაპირ გაპატიებას ნეხვით ის ნაკლი აქვს, რომ თუ ნეხვი თანაბრათ არ გავანაწილეთ პლანტაციაზე (ნათესში), მოსავალი შესაფერისად არ გაიზრდება. შემოდგომის ხორბალის შემდეგ კი ნიადაგში რჩება ნაკელი, რომლითაც შემდეგ ჭარხლის ძირები სარგებლობენ.

თესლთა ბრუნვა ბევრნაირია—არის ოთხმინდვრიანი, 5—6—7—8—10 მინდვრიანები იმის მიხედვით, თუ რომელი თესლთა ბრუნვა გამოადგება ამა თუ იმ მეურნეობას.

თუ ნახნავის 25% (ერთი-მეოთხედი) გვინდა ჭარხლისათვის, მაშინ ოთხ ნაკვეთში ერთს მინდორს ჭარხალი დაიჭერეს. რუსეთის პირობებში მიღებულია ასეთი თესლთა ბრუნვა:

4 **მინდვრიანი—მეურნეობა:** 1) ერთი ნაკვეთი დარჩება ნასვენი ნაკელით, 2) მეორეზე დაითესება შემოდგომის პური, 3) მესამეზე ჭარხალი, 4) მეოთხეზე—გაზაფხულის თესლი. ან კიდევ 1) ერთზე შემოდგომის პური, 2) მეორეზე ჭარხალი, 3) მესამეზე გაზაფხულის პური სამყურათი და 4) მეოთხეზე სამყურა.

ა **მინდვრიანი**—1) პირველი ნაკვეთი ნასვენი ნაკელით, 2) მეორეზე შემოდგომის პური, 3) მესამეზე შაქრის ჭარხალი, 4) მეოთხეზე ცერცვეულები (ლობიო, მუხუდო და სხ.), 5) მეხუთეზე გაზაფხულის თესლი ან კიდევ—შეიძლება ასე: 1) პირველი ნასვენი ნაკელით, 2) მეორეზე შემოდგომის პური, 3) მესამეზე შაქრის ჭარხალი, 4) მეოთხეზე გაზაფხულის პური, 5) მეხუთეზე სოია, მუხუდო, სუდანის ბალახი და სხ.

ჩვენს პირობებში, სადაც შაქრის ჭარხალი დაითესება მხოლოთ გარკვეულ ერთ რაიონში (გორის მაზრაში) შესაძლებელი იქნება ასეთი თესლთა—ბრუნვის შემოღება:

4 **მინდვრიანი**—მეურნეობაში 25% (ერთი - მეოთხედი) შაქარის ჭარხალით: 1) ერთ ნაკვეთზე შემოდგო-

*) იხ. ჟურ. „ახალ. სოფ." № 7, 8, 9.

მის ხორბალი ნაკელით, 2) მეორეზე შაქრის ჭარხილი, 3) მესამეზე გაზაფხულის თესლი, 4) მეოთხეზე სიმინდი ან 12½%—(პროცენტი) შაქრის ჭარხალით, 1) პირველ ნაკვეთზე შემოდგომის ხორბალი ნაკელით 2) მეორეზე ნახევარი შაქრის ჭარხალი, ნახევარი სოია, 3) მესამეზე გაზაფხულის პური, 4) მეოთხეზე სიმინდი, ან) 1) ერთ ნაკვეთზე შემოდგომის პური ნაკელის შეტანით, 2) მეორეზე შაქრის ჭარხალი, 3) მესამეზე სიმინდი და 4) მეოთხეზე იონჯა—ცალკე მინდვრათ.

მაგრამ შეიძლება ჭარხალი მოსდევდეს თესლთა ბრუნვაში ცერცვეულ კულტურებსაც—მაგალითად, 1) პირველი ნაჭერი იქნება ნასვენი ნაკელით, 2) მეორე შემოდგომის ხორბალი, 3) მესამეზე ლობიო ან ცერცვი, 4) მეოთხეზე ჭარხალი, 5) მეხუთეზე გაზაფხულის თესლი.


ჩვენი გლეხის მეურნეობაში მისაღებია ისეთი თესლთა ბრუნვა, სადაც ჭარხალს ეჭირება ერთი-მეხუთედი ან ერთი-ძეძვსედი ნაწილი ხნულისა. ამ შემთხვევაში ჭარხალი უბრუნდება ძველ ადგილს 5—6 წლის შემდეგ.

ჭარხლის მოსავალი

სექტემბრის ბოლო რიცხვებში და ჩვენში კი უფრო გვიანაც ჭარხალი მწიფდება და საჭიროა მისი ამოღება. ამ დროისათვის ჭარხალს ფოთოლი უყვითლდება და შაქრის დაგროვება ძირებში დამთავრებულია.

ჭარხლის მოსავლის რაოდენობა დამოკიდებულია სხვა და სხვა გარემოებაზე,—ჭარხლის ჯიშზე, პლანტაციის (ნათესების) მოვლაზე, ნიადაგის და ჰავის პირობებზე და სხ.—საერთოთ კი უნდა ითქვას, რომ გლეხი თავის ნაკვეთიდან უფრო ნაკლებ მოსავალს იღებს, ვიდრე კარგათ დამუშავებულ მიწებიდან იღებენ საბჭოთა მამულებში ანდა კოლექტიურ მეურნეობაში, ეს დამოკიდებულია, ჭარხლის პლანტაციის (ნათესის) მოვლაზე. ხშირათ დიდი განსხვავებაა მოსავლის მხრივ ჭარხლის რაიონებში. საერთოდ რუსეთში და უკრაინაში ჭარხლის უმაღლეს მოსავლათ ითვლება 27 ტონა (1.700 ფუთი) ჰექტარზე, საშუალოდ-18 ტონა (1.200 ფ.) და დაბალ მოსავლათ-9 ტონა (600 ფ.) რუსეთის და უკრაინის ჭარხლის რაიონებში ასეთი მოსავალი იყო 1907-1914 წ. წ.

თუ ევროპის ჭარხლის მოსავალს შევადარებთ, დავინახავთ, რომ რუსეთში გაცილებით ნაკლებ მოსავალს იღებენ, ვიდრე ევროპაში.



საფრანგეთში გავრცელებულ შაქრის ჭარხლის ჯიში—ვილმორენი

ცდები ბოსტნის მაზრაში

ცდები მოეწყო ცენტრალურ საცდელ მინდორზე (გორის ახლო) და გლეხების ნაკვეთებზე—გორის და ტირიფონის რაიონებში.

ცდა № 1. ცდა მოწყობილია 8 ნაკვეთზე. ეს ცდა არკვევს ჭარხლის თესვის და ამოღების დროს. საუკეთესო შედეგები მოგვცა ადრე თესვამ და მოსავლის გვიან აღებამ, როდესაც ზრდის ხანა (ვეგეტაცია) უდრიდა 177 დღეს. ცდებისთვის აღებული იყო ჭარხლის ორი ჯიში—**ნორმალური** (ჩვეულებრივი) **მოსავლიანი.** თესლი მიღებულია კიევის მაზრიდან. ნორ-

მალური (ჩვეულებრივი) ჯიში ადრე თესვის დროს იძლევა საშუალოთ 1.449 ფუთს ჰექტარზე, მოსავლიანი ჯიში კი—1.511 ფუთს იმავე ზომაზე. ერთ და იმავე პირობებში მოსავლიანი ჯიში ნორმალურზე 60—100 ფუთს მეტს იძლევა. ჭარხალი დათესილი იყო 21 აპრილში (ადრეული ნაკვეთები) და 5 მაისს (გვიანი ნაკვეთები). ადრეული ამოღებული იყო 15 სექტემბერში. გვიანი-15 ოქტომბერს.

ცდა № 2. ეს ცდა არკვევს მინერალურ სასუქების გავლენას ჭარხლის ზრდაზე და მოსავალზე, შეტანილია ნაკვეთებზე აზოტის და ფოსფორის მარილები ცალ-ცალკე და ორივე ერთათ. შედეგი ასეთი მივიღეთ:

შეტანილი სასუქი	მოსავალი ფუთებში ჰექტარზე	დრო	
		თესვის	ამოღების
საკანტროლო	1.492	14 მაისი	15 ოქტ.
2 ფ. ფოსფორ. სიმჟ. . . .	1.571	„	„
0,6 ფუთი აზოტი	1.502	„	„
2 ფუთი ფოსფორის სიმჟ. . + 0,6 ფ. აზოტი	1.767	„	„

აქედან ვხედავთ, რომ მოსავლის გადიდება აღწევს 288 ფუთს ჰექტარზე იმ შემთხვევაში, თუ ორივე მარილი ერთად არის შეტანილი.

ცდა № 3. ამ ცდის მიზანია ჭარხლის ჯიშების გამოცდა.

ამოღებული იყო ათი უცნობი ჯიში, ჰოლებული გამოსაცდელათ უკრაინიდან. საუკეთესო ძოსავალი მოგვცა ჯიშმა № 3—2.074 ფ. ჰექტარზე. ყველაზე ნაკლები № 7—1.018 ფ. ჰექტ.

ცდა № 4. ჭარხლის რენტაბელობის (მომგებიანობის) გამოკვლევა გლეხობის მეურნეობაში.

ეს ცდა მოწყობილი იყო გლეხების ნაკვეთებზე სოფელ მოხისში, წრომში, ქვემოტკოცაში, ბრეთში, წვერში, კოდა-ვარდის უბანში და ტირიფონაზე, ახალ სოფელში და შამვებში.

გლეხების მიწებზე მოსავალი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ცენტრალურ (მთავარ) ნაკვეთებზე. ეს იმით აიხსნება, რომ გლეხებმა ჯერ არ იცოდნენ ჭარხლის წესიერი მოვლა, ეს კულტურა მათთვის ახალია.

ამ პირობებში თვითონ გლეხს ჭარხალი დაუჯდა—30—40 კაპ. ფუთი, მხოლოთ ვინც უკვე მეორეთ დათესა, 25 კ. ფუთი.

ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲨᲐᲥᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ.

გომის რაიონის ჭარხალი მაღალ შაქრიანობისა გამოდის, რაც 1925, 1926 და 1927 წ. ჭარხლის ანალიზებმა (გამორკვევამ) დაამტკიცა. ჩვენ ჭარხალთან შედარებით რუსეთის და უკრაინის ჭარხალი უფრო ნაკლებ შაქრიანია; ასე მაგალითად, 12 ფუთი უკრაინის ჭარხალი იძლევა 55—60 გირ. შაქარს, გომის ჭარხალმა კი მოგვცა 1927 წ. იმავ 12 ფუთიდან—86 გირვანქა შაქარი.

ჩვენი ჭარხალი 20—21% (პროცენტ) შაქრიანობას იძლევა, რუსეთისა—18%, უკრაინისა—19%-ს. ეს ასეც უნდა იყოს—ჩვენში მზიანი დღეები უფრო მეტია და მზესაც მეტი სიცხოველე აქვს.

ამ მაგალითებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ გომის რაიონში ჭარხლის მოყვანა შესაძლებელი ყოფილა.

აგრ. ი. ქურდიანი.

მიწად-მოწყობა და კოლექტიური მეურნეობა

მიწის დაძუძმაცება ხელს უშლის კოლექტიურ მეურნეობის განვითარებას

ჩვენში უკვე დაიწყო მიწად-მოწყობის საქმე. ამასთან ერთად კოლექტიურ მეურნეობათა ზრდაც თანდათან ვითარდება.

ამ ორ მოვლენას დიდი დამოკიდებულება აქვს ერთმანეთთან.

რადგან ჩვენი ხელისუფლების და ხელმძღვანელი პარტიის მიზანია კოლექტივიზმის (წარმოების განსაზოგადოების) **დამყარება**, ამიტომ ყველა ის მოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ამ კოლექტივიზმის განვითარებას, ისე უნდა გამოვიყენოთ და მივმართოთ, როგორც ამას აღნიშნული მიზანი მოითხოვს.

ამ შემთხვევაში დაწყებულმა მიწად-მოწყობამაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის კოლექტივიზაციის განვითარებას.

ყველამ კარგად იცის, თუ როგორ დაქუცმაცებულია ჩვენში მიწები. ერთი ოჯახის კუთვნილი მამული, რომელიც ვსთქვათ 1 ან 2 ჰექტარისაგან შესდგება, ხშირად 10 ნაკვეთად ანუ ნაკვეთად არის დაყოფილი და ერთი-ერთმანეთისაგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით არის გაფანტული.

ხშირად ერთი სოფლის მოსახლის ნაკვეთი მიწა სხვა სოფლის მამულებშია შეჭრილი.

ასეთი მდგომარეობა დიდათ უშლის ხელს მეურნეს არამცთუ რაიმე ძირითადი გაუმჯობესება შეიტანოს თავის მეურნეობაში, არამედ ვერ ასწრებს მიმდინარე და აუცილებელი ყოველდღიური მოვლა – პატრონობა გაუწიოს თავის ჭირნახულს. ამ შორს მანძილზე მისვლა-მოსვლაზე აუარებელი უსარგებლო შრომა, ძალღონე და ხარჯი ამაოდ იკარგება.

თუ ეს ასე ითქმის კერძო მეურნეობაზე, მიწად-მოწყობის საკითხის ასეთი მდგომარეობა უფრო დიდ დაბრკოლებას ჰქმნის კოლექტივიზმის (წარმოების განსაზოგადოების) განვითარებისათვის.

თუ კოლექტიურ მეურნეობაში შემავალ გლეხებს ნაკვეთები ისე შორიშორს იქნება დაფანტული, როგორც ზემოდ ვსთქვით, ეშვი არ არის კოლექტივს ბევრი ამაო შრომის და ხარჯის გაწევა დასჭირდება, ის ამას ვერ გაუძლებს და დაიშლება.

სოფლის მეურნეობის განვითარება მთლიან და ერთიან ნაკვეთს მოითხოვს.

თუ კერძო მეურნისათვის ყოველთვის ხელსაყრელია, რომ ერთი მთლიანი ნაკერი ჰქონდეს, კოლექტიურ მეურნეობისათვის ეს პირობა პირდაპირ აუცილებელია და უამისოდ ძნელი საფიქრებელია, რომ კოლექტიური მეურნეობა სწრაფად განვითარდეს.

ამიტომ ჩვენ მიწად-მომწყობ ორგანოებს (დაწესებულებას) მიწად-მოწყობის ჩატარებისას ყოველთვის ეს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ და ნაკვეთები ისე გადაანაწილონ, რომ იქ კოლექტიური მეურნეობის მოწყობა ადვილად შეიძლებოდეს.

ამჟამად ბევრია ისეთი სოფელი, სადაც სხვადასხვა სახის კოლექტიური მეურნეობა უკვე არის. ამ შემთხვევაში მიწად-მომწყობი უნდა შეეცადოს აქ ისე მოაწყოს საქმე, რომ ამ არსებულ კოლექტიურ მეურნეობას შეეძლოს კიდევ უფრო გაფართოება და მსხვილ კოლექტივად გადაქცევა.

მაგალითად, თუ ამ სოფელში არის საფონდო მიწები, ეს საფონდო მიწები უნდა საზღვრავდნენ ამ კოლექტივების მამულს, რომ, თუ ვინიცობაა, კოლექტივებში ვინმე უმიწაწყლო შევიდა წევრად, მას თავისი ხვედრი მიწა სწორედ ამ ფონდიდან მისცემოდა და არა სადმე დაშორებით.

გარდა ამისა ამავე მიზნით კარგ

იქნებოდა, რომ სოფელში მოსახლე მეზობელს მინდორშიაც ერთმანეთის მეზობლად ჰქონოდათ მიზომილი ნაკვრები. ეს ძლიერ შეუწყობდა ხელს მიწების საერთო ძალით დამუშავების საქმეს და კოლექტიური მეურნეობის დაარსების ნიადაგს მოუმზადებდა.

ნ. თხინვალელი.

როგორ უნდა დაფასდეს კოლექტიურ მეურნეობაში შრომა

კოლმეურნეობის ცხოვრებაში წევრების შრომის დაფასება ერთი უძნელეს საკითხთაგანია.

კოლექტიურ მეურნეობაში, სადაც რამდენიმე ათეული წევრი და ხშირად ასეულიც იღებს მონაწილეობას, ძნელი საფიქრებელია, რასაკვირველია, რომ ყველას ერთნაირი შრომის უნარი ჰქონდეს ან ყველა ერთნაირი ცოდნით იყოს შეიარაღებული.

მაშასადამე მათი შრომის და ცოდნის ნაყოფიც სხვა და სხვა იქნება.

ყოველი წარმოება წესირად მაშინ ვითარდება, როცა წარმოების მონაწილენი თავის შრომაში ხელსაყრელ საფასურს იღებენ. მაგრამ ეს მაინც არ კმარა და საჭიროა, რომ წარმოება ისე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს, რომ მისი მომგებიანობა ყველა მონაწილეს ინტერესებს ეხებოდეს.

საჭიროა რომ კოლექტიურად წაყვანილმა მეურნეობამ ყველასთვის თვალსაჩინოდ გააუმჯობესოს ყოველ მონაწილეს პირადი ცხოვრებაც.

თუ კოლექტიურ მეურნეობის წევრი მთელ თავის ჭონებას და შრომას კოლექტივს მოანდომებს და სამაგიეროდ არ მიიღებს და იმავე დროს ის ისევ ისეთ გაჭირვებაში ჩავარდნილი დარჩება, როგორც კოლექტივში შესვლამდე იყო, მაშინ რაღა საჭირო იქნებოდა მისთვის კოლექტივში შესვლა.

ამიტომ კოლექტიურ მეურნეობაში შრომის სამართლიანი დაფასების საკითხის გადაწყვეტა ერთი უმთავრეს ამოცანათაგანია კოლექტიურ მეურნეობაში. სწორედ ამით აიხსნება, რომ სრულიად საკავშირო კოლმეურნეობათა ყრილობა დიდის ყურადღებით მოეკიდა ამ საკითხს და სათანადო დებულებანი გამოიმუშავა. აი ეს დებულებანი:

1. კოლექტიური შრომა რომ წესიერად იყოს მოწყობილი, ამის ძირითად პირობას შეადგენს შრომის დაფასების ის წესი, რომელიც დააინტერესებს კოლექტივის წევრებს, რომ კოლმეურნეობა გაუმჯობესდეს და რაც შეიძლება უფრო მეტად განვითარდეს. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მაშინ, როცა თვითეული მონაწილე იღებს საფასურს იმ შრომის რაოდენობაში, რომელიც მან მეურნეობაში შეიტანა, ამასთან უკეთესი ხარისხის შრომა უნდა უკეთ ფასდებოდეს, ვიდრე ნაკლები ხარისხისა.

ამის მიხედვით ყრილობამ, დაადგინა რომ შრომის ყველაზე სამართლიანი დაფასება იქნებოდა ნარდად სამუშაოს მიცემა, ესე იგი საფასური მიეცემა მშრომელს თვითეულ შესრულებულ საქმეში, მაგალითად, ერთი ჰექტარის მოხვნაში, გათოხნაში, დაბარვაში, განსაზღრულ რიცხვის საქონლის მოვლაში და სხვა. ერთნაირ შრომაში კაცს და ქალს უნდა მიეცეს ერთნაირი საფასური.

2. კოლექტიური მეურნეობა მაშინ უფრო ვითარდება სწრაფად, როცა შრომის დაფასება თანდათან მატულობს, გინდაც რომ ეს მიმატება ცოტ-ცოტა იყოს. მაგრამ ეს მიმატება უსათუოდ მეურნეობის შემოსავლიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. თუ მეურნეობის მოგება არ მატულობს, შრომის საფასურის გადიდებაც არ შეიძლება. მეურნეობამ შრომის მეტად დაფასების მიზნით არ

უნდა შეამციროს არც თავისი ძირითადი თანხები და არც სესხი აიღოს ეს დაუშვებელია.

3. შრომის საფასურის მიცემა წინასწარ შემოღებულ წესით, განსაზღვრულ ვადებში და განსაზღვრულ საზომით უნდა ხდებოდეს. თვითვეულმა წევრმა უნდა იცოდეს, როდის, რას და რამდენს მიიღებს. ამ მიზნის მისაღწევად კოლექტიურმა მეურნეობამ წინასწარვე უნდა შეიმუშავოს თავისი წლიური წარმოებით გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალი შემოსავალი, როდის იქნება ეს შემოსავალი შემოტანილი და ყველა საჭირო ხარჯები.

რადგან საერთოდ სოფლის მეურნეობას წლის განმავლობაში ბევრი რამ ხიფათი მოელის და შესაძლებელია, რომ როგორც შემოსავალი, ისე ხარჯები, შეიცვალნენ, ამიტომ შრომის გეგმით გათვალისწინებული საფასური მხოლოდ ნაწილობრივ უნდა მიეცეს წევრს, დაახლოებით ნახევარი ან ოთხ-მეხუთედზე (80%) არა უმეტესი . საფასური სრულიად მიეცემა მხოლოდ საწარმოვო წლის ბოლოში, როცა მეურნეობის მოგება ზუსტად იქნება გაძორკვეული.

4. კოლექტიურ მშენებლობის საფუძვლად აღიარებულია **პირადი შრომა** კოლექტივის წევრებისა. მხოლოდ შრომა აძლევს უფლებას წევრს ისარგებლოს კოლექტიურ მეურნეობის შეღავათებით და მიღწევებით.

ამგვარად საფასურის მიცემა კოლმეურნეობაში შეტანილ საწარმოო საშუალებებისათვის, მაგალითად მუშა საქონელში, მანქანა-იარაღები და სხვა ისე, როგორც შეფარდებითი საფასური ეძლევა წევრს შრომისათვის, ყრილობას დაუშვებლად მიაჩნია. აქ იგულისხმება ის შემთხვევა, როცა წევრი კოლექტივში შედის მუშა-საქონლით, გაუმჯობესებულ მანქანებით და ფულადად. ასეთ შენატანში წევრი ისეთივე საფასურს ღებულობს, როგორც ყოველ წარმოებაში შეტანილ თანხაში. რადგან მთელი ქონება, რომელსაც წევრი კოლმეურნეობაში შეიტანს, იწერება მის სახელზე (პირად ანგარიშში) და შეუძლია წასვლისას გაიტანოს.

ერთ-ერთ გერმანელ კომუნაში შრომის საფასურს ანგარიშობენ ასე: ბავშვები 13 წლამდე ითვლებიან პაის (საწევრო გადასახადი) ერთ-მეოთხედ ნაწილად, მოზარდები 13 წლიდან 18 წლამდე და 55 წელზე ხნიერი ოჯახის წევრი პაის ნახევარ ნაწილად, 18—55 წლისანი კი, მამა-კაცი იქნება თუ ქალი მთელ პაი-ათ.

მთელი წლის განმავლობაში ინიშნება ცალკე ცხრილში თვითეულ წევრის მიერ შესრულებული მუშაობა და წლის ბოლოში მეურნეობის წმინდა მოგება გარდა წესდებით გათვალისწინებულ და საერთო ყრილობისაგან მიღებულ ანარიცხებისა, იყოფა ყველა წევრებს შორის ზემოდ მოყვანილ წესით.

თუ კოლექტივი კომუნაა, შემოსავალს უნდა გამოეკლოს ის ხარჯებიც, რომელიც წევრების კვებაზე და შენახვაზეა გაწეული.

ერთ-ერთ ნადში (არტელი) პაით (საწევრო გადასახადად) ცნობილია 2 შრომის უნარიანი კაცი და უღელი ხარი თავისი მოწყობილობით.

ანგარიში წარმოების მტკიცე საძირკველია

ყოველგვარ წარმოებაში ანგარიში აუცილებელია. ანგარიში მაჩვენებელია წარმოების ავკარგიანობისა. კოლექტიური მეურნეობაც წარმოებაა და ამიტომ იქაც ანგარიში კარგად უნდა იყოს დაყენებული. ანგარიში დავანახვებს, თუ როგორ მიმდინარეობს კოლექტივის ცხოვრება.

სამწუხაროდ ყველა კოლექტივი ვერ ახერხებს ანგარიშის წესიერად დაყენებას.

განაწილების წესი

საანგარიშო ფურცლებიდან წლის დამლევს შეადგენენ ანგარიშს და მიღებულ მოგებას გაანაწილებენ შემდეგნაირად: საერთო შემოსავლიდან უნდა გამოირიცხოს ხარჯები, რომელიც გამოწვეული იყო მეურნეობის მართვით: გადასახადებზე, საწვავ მასალაზე, დაზღვევაზე, ახალ მანქანაზე ან ძველების შეკეთებაზე, დაქირავებულ მუშა-ხელზე და სხვა. დარჩენილი ჯამი განაწილებული იქნება თანახმად წესდებისა, ამასთან შრომა შეფასებული იქნება დახარჯულ შრომის და მის ხარისხის მიხედით, რომ ამ გზით შრომის მოყვარე წევრები უფრო წახალისდენ.


აღებულ მოსავალს უნდა გამოაკლოთ ის სათესლე მასალა, რომელიც შემდეგ თესვისათვის იქნება საჭირო და აგრეთვე ის, რაც საქონელს საკვებად დასჭირდება. ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც საჭირო იქნება ახალ მოსავლის აღებამდის.

ვიმეორებთ, რომ ყველა შემოსავალის და გასავლის ზუსტად აღნიშვნა და წლიური ანგარიშის შედგენა ერთი მთავარი და აუცილებელი პირობაა კოლექტიურ მეურნეობისათვის. სწორი ანგარიში არამც თუ ფულს, არამედ სანოვაგესაც, შრომასაც და ცოდნასაც უყვარს.

კოლექტიურ მეურნეობას არაფერი არ უნდა გამოეპაროს უანგარიშოთ და თუ ის ასე მოაწყობს თავის ცხოვრებას, მაშინ არამც თუ მას არავინ არ დასტოვებს, არამედ ბევრი წაბაძავს მის მაგალითს.

ასეთი ანგარიშიან ცხოვრებით კოლექტიური მეურნეობა არამც თუ გაამაგრებს თავის თავს, არამედ თავის წევრებსაც, რომლებიც არაფერს დაზოგვენ კოლექტივიზმის გასამტკიცებლად, რომელიც პირდაპირ სოციალიზმისაკენ მიმავალ გზად არის ცნობილი.

ა. ნ—ძე.



პანმრთელობა

ქუნთრუშა და ხუნაგი

ქუნთრუშა და ხუნაგი ბავშების სასტიკი და შეუბრალებელი მტერია. ორივე ავადმყოფობა წარმოადგენენ მწვავედ მიმდინარე გადამდებ სნეულებას, რომლებიც უფრო შემოდგომა-გაზაფხულობით ვრცელდებიან და ხშირად მოარულის (ეპიდემიის) ხასიათს ღებულობენ.

ამ ბოლო დროს ქუნთრუშით და ხუნაგით დაავადება თანდათან მატულობს. ამიტომ საჭიროა კარგად გავიცნოთ ეს სენები და მათი გავრცელების წინააღმდეგ მკაცრი ზომები მივიღოთ.

ქუნთრუშა

ქუნთრუშა წარმოადგენს მეტად საშიშ, მწვავე გადამდებ სნეულებას. ის განსაკუთრებით ბავშების მტერია, თუმცა შეიძლება მოზრდილიც გახდეს მით ავათ.

მართალია, ქუნთრუშის გამომწვევი მიზეზი დღემდე არ არის აშკარად გამორკვეული, მაგრამ ის კი ცხადია, **რომ ეს მიზეზი ქუნთრუშით დაავადებული ავადმყოფის აქერცლილ კანში, ყელის ლორწოში და ნერწყვში იმყოფება.**

როგორ იწყება ქუნთრუშა.

ქუნთრუშა იწყება უეცრად: ავადმყოფს აძლევს სიცხეს, გრძნობს ყელის და თავის ტკივილს, უშლის ყლაპას, ხშირად პირიდანაც აღებინებს, სუსტად არის და იძულებული ხდება იმავე დღეს ლოგინში ჩაწვეს.

უმეტეს შემთხვევაში უკვე მეორე დღეს აყრის მთელ სხეულზე წითელ წინწკლების მაგვარ პარტახტს.

უნდა აღინიშნოს, რომ წითელ ხალებიან პარტახტს აყრის ხოლმე წითელას დროსაც. ამიტომ ხშირია, რომ ქუნთრუშასა და წითელას ერთმანეთში ურევენ, ნამეტნავად ავადმყოფობის პირველ დღეებში. მათი გარჩევა კი შედარებით ადვილია იმით, რომ ქუნთრუშის დროს არ იცის არც სურდო, არც ხველა, არც ცრემლი;

წითელასათვის კი ეს ნიშნები მეტად დამახასიათებელია. ამის გარდა წითელას დროს პარტახტი მსხვილია და ბავშს ავადმყოფობის მესამე-მეოთხე დღეზე აყრის, ქუნთრუშას ნაყარი კი მეტად წვრილია და აყრის უკვე მეორე დღეს მთელ სხეულზე, გარდა ცხვირისა და ნიკაპისა, რომლებიც ძომკრთალო ფერისაა და აშკარადაა გამოცალკევებული.

როგორ მიმდინარეობს წითელა.

ავადმყოფობა გრძელდება 2-3 კვირა და თუ არ გართულდა უკვე მესამე კვირის ბოლოში ავადმყოფი კარგად გრძნობს თავს. მაგრამ ქუნთრუშა იმით არის სახიფათო სენი, რომ მისი შხამი ადვილად გადადის სისხლში და ხშირად იწვევს სხვა და სხვა ხასიათის მძიმე გართულებებსაც. ამათგან აღსანიშნავია შემდეგი:

1) **თირკმელების ანთება.** ამ დროს ავადმყოფი გადის სისხლიან შარდზე; თირკმელების დაავადების გამო ველარ გამოდის შარდში სხეულის სხვადა სხვა უვარგისი ნივთიერება, ამის გამო თანდათან ეწამლება ავადმყოფს სხეული — უსივდება თვალები, ხან მთელი სხეულიც და ბოლოს ან დაიღუპება, ან თუ მორჩა. უმეტეს შემთხვევაში სნეული დარჩება.

2) **გულის მანკი.** ხშირად ქუნთრუშის შხამი უკვე პირველ კვირაშივე ადამბლებს გულის კუნთს და ავადმყოფი ამის გამო ესალმება წუთისოფელს. ბევრია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქუნთრუშის შემდეგ ავადმყოფს ძალიან უსუსტდება გული. ეს აიხსნება იმით, რომ ქუნთრუშის შხამი აზიანებს გულის სარქველებს და ამას მოსდევს გულის მანკი, რომელიც მეტად მძიმე ავადმყოფობას წარმოადგენს.

3) ყურის ჩირქოვანი ანთება. ამ დროს ბავშს ყურებიდან სდის ჩირქი, სმენა აკლდება, ზოგჯერ ყურებიდან ანთება გადადის თავის ტვინის გარსებზე და ბავშს ემართება ახალი, მეტად მძიმე ავადმყოფობა — ტვინის გარსების ჩირქოვანი ანთება, რომელიც უმეტეს ნაწილად სიკვდილით თავდება.

4) სახსრების ანთება. ავადმყოფს ემართება მუხლის, წვივ-ტერფის იდაყვის და სხვა სახსრების ანთება, რომელიც ხშირათ უოპერაციოთ ვერა რჩება და ამის შემდეგ ავადმყოფს ხშირად დაავადებული კიდური უმახინჯდება.

5) ჯირკვლების ანთება. უსივდება და უჩირქდება ყელის, კისრის, ხან იღლიის ჯირკვლებიც, რომელიც მოითხოვს დიდი ხნის წამლობას.

აი რამდენი, მეტად მძიმე, დაავადება შეიძლება მოჰყვეს ქუნთრუშას.

ხშირად ქუნთრუშა გაურთულებლად მიმდინარეობს. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფი ორი სამი კვირის შემდეგ კარგათ გრძნობს თავს. ეწყობა მას კანის აქერცლა. ალაგ-ალაგ დიდი ნაფლეთებით სძვრება კანი. აქერცლა გრძელდება 5--6 კვირამდე. ამ დროს ავადმყოფი ძალიან სახიფათოა გადადების მხრივ იმიტომ, რომ აქერცლილ კანში ძალიან ბევრია ქუნთრუშის ბაცილები. კანის აქერცლა, რომ მალე დამთავრდეს, აქერცლილი კანის მტვერმა, რომ არ გაავრცელოს ავადმყოფობა, ამისათვის საჭიროა სიცხის გამონელების შემდეგ ავადმყოფი ცხელი წყლით და საპნით კარგად გავბანოთ.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ქუნთრუშა არც ჩვენ გადაგვედოს და არც სხვას გადავდოთ?

ამისათვის საჭიროა შემდეგი: ასტკივა თუ არა ბავშს ყელი, მაშინვე უნდა უჩვენოთ ექიმს. თუ მას ქუნთრუშა აღმოაჩნდა, საჭიროა მოათავსოთ საავადმყოფოში (ბარაკში), სადაც მოვლა და წამლობაც გაცილებით უკეთესი იქნება და არც სახიფათო ავადმყოფობის გავრცელების მხრივ.

თუ საავადმყოფოში მოთავსება ვერ მოხერხდა და ავადმყოფი სახლში დარჩა, მაშინ იგი აუცილებლივ ცალკე ოთახში უნდა მოვათავსოთ. უნდა უვლიდეს ავადმყოფს ოჯახის რომელიმე ერთი წევრი და არა რამდენიმე. მომვლელს გულსაფარი უნდა ჰქონდეს აფარებული. მომვლელი თავის ეზოს გარეთ არსად არ უნდა გადიოდეს, რადგან მას შეუძლიან ქუნთრუშა მეზობლის ბავშებს გადასდოს. ყოველთვის გარეთ გამოსვლის დროს უნდა მოიხსნას გულსაფარი და საპნით კარგათ დაიბანოს ხელ-პირი.

ამის გარდა უნდა გვახსოვდეს შემდეგი: **ქუნთრუშიანი ბავში ექვს კვირამდე არ უნდა გავგზავნოთ სკოლაში და არც გაუშვათ სათამაშოთ,** რადგან მან თუმცა გადაიტანა ავადმყოფობა, მაგრამ გადადების მხრივ ის მინც ძალიან საშიშია.

ამის გარდა ექიმის ნება-დაურთველათ ავადმყოფის ოჯახიდან არც ერთი ბავში არ უნდა გაგზავნოთ სასწავლებელში.

უნდა ვიცოდეთ ავადმყოფის ნახვას, რომელიც ჩვენში ძალიან მიღებულია და რომელიც ძალიან სახიფათოა, მნახველს შეუძლიან გაავრცელოს ეს სენი. ავადმყოფის ნახმარ საგნებს ახლო არ უნდა მიეკაროთ, გარდა მომვლელისა.

კიდევ ერთი ძალიან ცუდი ჩვეულება აქვს ჩვენ ხალხს: თუ ბავშმა ვერ გადაიტანა ეს სენი, მშობლები მიცვალებულის ზოგიერთ ნივთებს და სათამაშოებს გაასაჩუქრებენ. ეს მეტად სახიფათოა.

ამ ბოლო დროს ქუნთრუშის წინააღმდეგ საბრძოლველად შემოიღეს აცრა, რომლის შემდეგაც აცრილ ბავშისთვის ქუნთრუშა საშიში აღარ არის. მისი სხეულა აღარ იკარებს ამ სენს. ამიტომ სადაც კი შესაძლებე-

ლია უნდა ააცრევინოთ ბავშები ჭუნთრუშის წინააღმდეგ.

ბევრ მშობლებს ჰგონიათ, რომ ჭუნთრუშა, წითელა, ყივანახველა და სხვა ისეთ ავადმყოფობას წარმოადგენს, რომელიც უეჭველად უნდა მოიხადოს ბავშმა. ხოგჯერ განგებ მიჰყავთ თავისი ბავში ავადმყოფ ბავშთან, რომ მათმა ბავშმაც მოიხადოს ეს სენი. ეს ყოველათ დაუშვებელია და ამკარა გაუგებრობაა.

ხუნაგი

არა ნაკლებ სახიფათო ავადმყოფობაა ხუნაგი, რომელიც ძალიან ხშირია ბავშთა შორის ერთიდან შვიდ წლამდე. უფრო მოზრდილები შედარებით იშვიათად ხდებიან ავათ.

იშვიათად ხდება ავად ხუნაგით ძუძუ მწოვარა. ეს ავადმყოფობა უფრო შემოდგომობით და გაზაფხულობით იცის.

რა იწვევს ხუნაგს.

ხუნაგის ანუ დიფტერიის წარმომშობი მიზეზი ჩხირის მაგვარი, პატარა, ცოცხალი არსებაა, რომელიც მეცნიერმა **ლოფლერმა** აღმოაჩინა. ამიტომ მას ლოფლერის ჩხირს უწოდებენ. ეს ჩხირები მრავლადაა ხუნაგიან ავადმყოფის ნახველში და ნერწყვში.

როდესაც ეს ჩხირები სალი ადამიანის პირის ღრუში მოხვდებიან, ამის შემდეგ, დაახლოებით ორიდან რვა დღემდე ავადმყოფს არაფერი არ აწუხებს. ამ ხნის განმავლობაში ეს ჩხირები მრავლდებიან და გამოჰყოფენ ბევრ სხვადასხვა შხამს, რომლებიც ავადმყოფის სისხლში გადადიან. ამის შემდეგ ავადმყოფი ცუდათ გრძნობს თავს ყლაპვის დროს გრძნობს ტკივილებს, სუსტათ არის, აძლევს სიცხეს 38-40 მენაკამდე, უსივდება ყელისა და ყბის ქვეშა ჯირკვლები.

ყელის ჯირკვლებზე უჩნდება მოთეთრო-ფერის ნალექი, ეგრეთ წოდებული, ხუნაგის აპკები. თუ ავადმყოფობას არა აქვს ავზნიანი ხასიათი და მსუბუქათ მიმდინარეობს, მაშინ ჩვეულებრივ მეოთხე მეხუთე დღეზე სიცხე დაიწევს, ყელიდან აპკები სცილდება და მათ ავადმყოფი ნახველთან ერთად გამოაფურთხებს. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფი რამდენიმე დღის შემდეგ ჯანმრთელდება.

მაგრამ ხშირად, როდესაც ხუნაგს უფრო ავზნიანი ხასიათი აქვს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთის მხრივ ხუნაგის ჩხირები სწრაფად მრავლდებიან, ბევრ შხამს უშვებენ სხეულში, და მეორეს მხრივ, როდესაც ავადმყოფი თავიდანვე სუსტია და ამიტომ სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევს ავადმყოფობას.

ასეთ შემთხვევაში ხუნაგი ძალიან მძიმეთ მიმდინარეობს: იგი იწყება ტანში შეჟრიალებით, შემცივნებით, სულ რამდენიმე საათის განმავლობაში სიცხე ადის 39-40°-დე. ავადმყოფს აღებინებს, ძალიან აწუხებს ყელის ტკივილი, თავის ტკივილი, გული უსუსტდება, მაჯის ცემა ძალიან გახშირებული აქვს.

ყელის ჯირკვლებზე პირველ დღესვე მოსჩანს თეთრი აპკი, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში ვრცელდება ყელის და ხახის ლორწოან გარსებზე. ჯირკვლები უფრო დიდდება, სასულე უვიწროვდება, რის გამოც სუნთქვა უძნელდება. ქოშინი ემართება. ისმის მსტვენავი სუნთქვა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დაუყონებლივ მიმართოთ ექიმს, რომელიც ჩაუდებს ყელში რკინის მილს (კანიულას) და ავადმყოფი გადარჩება სიკვდილს. უამისოთ ადვილი შესაძლებელია სუნთქვა შეეკრას და ავადმყოფი დაიხრჩოს.

შეიძლება ხუნგამა მორჩენის შემდეგაც გამოიწვიოს სხვადასხვა მეტად სახიფათო გართულება. მაგალითად: გულის სიდამბლე, რომელიმე ხელის ან ფეხის სიდამბლე და სხვა.

ხუნაგის მკურნალობა.

ხუნაგის წინააღმდეგ იხმარება ეხლა უებარი წამალი. ეს არის ხუნაგის ანუ დიფტერიის საწინააღმდეგო შრატი.

მხოლოდ საჭიროა გვახსოვდეს, რომ ეს წამალი მით უფრო კარგათ მოქმედობს, რაც უფრო ადრე შეუშხაპუნებთ მას ავადმყოფს, მაგალითად დაავადების პირველ ან მეორე დღეს. ამიტომ როდესაც გახდება ვინმე ავადყოფით, საჭიროა დაუყონებლივ მიმართოთ ექიმს,

როგორ მოუაროთ ხუნაგით დაავადებულს.

ხუნაგით დაავადებული ადამიანი დიდ საშიშროებას წარმოადგენს იმიტომ, რომ მის ნერწყვსა და ნახველში აუარებელი ხუნაგის ჩხირებია. ავადმყოფობა რომ არ გადაგვედოს მისგან, უნდა ვეცადოთ საჭიროთ ოთახსო იგი საავადმყოფოში. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ცალკე ოთახში. ამ ოთახიდან ზედმეტი ავეჯეულობა და ტანსაცმელი უნდა გავიტანოთ და ხშირათ გაუშინდოთ ოთახის ჰაერი კარების და ფანჯრების გაღებით.

ხუნაგით ავადმყოფი აუცილებლად ლოგინში უნდა იწვეს, თუნდაც იგი შედარებით კარგათ გრძნობდეს თავს და ვაძლიოთ მსუბუქი და ადვილათ მოსანელებელი საჭმელები: რძე, ჩაი, თხილო კვერცხი, რძის ფლავი, ცისელი და ცოტაოდენა პური.

ავადმყოფი უნდა აფურჟნებდეს ცალკე ჭურჭელში, რომელშიაც ჩასხმული უნდა იყოს კარბოლის მჟავის ხსნარი, ან კირის წყალი. ნახველი უნდა ჩაისხას ზარულში ან მიწაში ამოჭრილ ორმოში და ზემოდან კირის წყალი დაესხას.

ავადმყოფის მოხრჩენის ან საკვდილის შემდეგ, მისი ტანისამოსი და თეთრეული უნდა გამოიხარშოს მდუღარეში. მისი ნახმარი ჭურჭელიც დაიმდუღროს. ზოგიერთი საგნები, რომლების გარეცხვა არ შეიძლება, მაგალითად. ფეხსაცმელი, ბალიში და სხვა, უნდა გამომზევნდეს დიდი ხნის განმავლობაში. მაგრამ რადგან ეს საიმედო არ არის; ამიტომ ამ საგნებს უნდა ესხუროს წამალი (ჰკითხეთ ექიმს).

როგორ უნდა მოიქცეს ხუნაგით ავადმყოფის ოჯახი, რომ ავადმყოფობა სხვას არ გადაედოს.

უპირველესად ყოველისა საჭიროა ავადმყოფის გამოცალკევება. მის ბინაში მომვლელის გარდა არავინ არ უნდა შედიოდეს. ამ ოჯახის ბავშვები სასურველია დროებით გადაყვანილ იქნენ ისეთ ბინაზედ, ვისაც ბავშები არა ჰყავთ და სამ კვირამდე ისინი არსად არ უნდა გაუშვათ.

ჩვენდა სამწუხაროდ ეს სენები: ჭუნთრუშა, ხუნაგი, წითელა, ყივა-ხველა და სხვა ჯერ კიდევ ბევრს „ბატონებად“ მიაჩნია. თითქოს ეს ავადმყოფობა გამოწვეული იყოს, რაღაც ავი სულის მიერ, რომელსაც ექიმი და წამლები ეჯავრება. ეს მეტად სამარცხვინო და საბედისწერო ჩვეულება კიდევ არის გავრცელებული ზოგიერთ სოფლებში. ხშირად, მშობლები უვიცობის გამო ყველაზე მეტ მტრობას უწევენ თავის საყვარელ შვილს, იმით რომ „ბატონების“ შიშით არ ეძახიან თავის ავადმყოფ ბავშთან ექიმს და ბავშს განსაცდელში აგდებენ. მაშინ, როდესაც მისი წამლობა და განკურნება დიდ უმეტეს შემთხვევაში ადვილი საქმეა.

უნდა დავიხსომოთ, რომ ამ ავადმყოფობის წინააღმდეგაც შეიძლება ბრძოლა მხოლოდ ექიმისა და წამლების საშუალებით და არა შესაწირავით, სამხთოთი, ტკბილი იავ-ნანით, და წითელი ვაშლებით, როგორც ეს ზოგიერთ სოფლებში იციან. ამ სენებს ამ „ბატონებს“ ყოველთვის სასტიკად უნდა ვებრძოლოთ.

ექ. გ. ი. მათეშვილი.

მეცნიერება და ტექნიკა

პარკოვან მცენარეულობის გაშენების უპირატესობა

მცენარის ზრდისათვის უმთავრესად სჭირდება სამი ნივთიერება: **აზოტი, ფოსფორი და კალიუმი**

პურეული მისთვის საჭირო აზოტს ნიადაგიდან ხარჯავს. ამ დანახარჯის დაბრუნება ნიადაგში საქონლის სასუქის ან გვარჯილის შეტანით შეიძლება.

მაგრამ ყველას არ მოეპოება ბევრი სასუქი, ამიტომ შემოღებულია სხვადასხვა პარკოვან ანუ ცერცოვან მცენარის მოყვანა, მათ შორის უფრო მიღებულია უგრეხელი, ოსპი, სოია ანუ ძაძა (იაპონიური ლობიო), ხვანჯკორი, იონჯა, სამყურა და სხვა.

პარკოვანი მცენარეები ძლიერ ამდიდრებენ ნიადაგს აზოტით.

საქმე იმაშია, რომ პარკოვან მცენარეებს ფესვებზე ერთგვარი ძიძიბები აქვთ, რომლებიც ბაქტერიებით (პაწაწა თვალუხილავი არსებანი) დასახლებულია. ეს ბაქტერიები იკვებებიან ჰაერში მყოფ აზოტით (აზოტი ჰაერშიც ურევია) და ამდიდრებენ ნიადაგს ამ აზოტით. მერე ამ აზოტით სხვა მცენარეები სარგებლობენ, რომლებსაც ამ ნიადაგში დასთესავენ.

გამოკვლევები გვეუბნებიან, რომ ერთი ჰექტარი ცერცოვანი მცენარე თავის შემდეგ სტოვებს საშუალოდ 40 კილოგრამამდე აზოტს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ცერცოვანი მცენარის შემდეგ დათესილი პურეული ყოველთვის კარგ მოსავალს იძლევა.

პარკოვანი მცენარე არამცთუ ამდიდრებს ნიადაგს აზოტით, არამედ მას ისეთი თვისებაც აქვს, რომ შეუძლიან გასხნას და შეითვისოს იესთი ნივთიერებანი, რომლებიც სრულებით უსარგებლოდ რჩებიან პურეულობის ფესვებისათვის.

ერთი უპირატესობა პარკოვან მცენარეულობისა კიდევ ის არის, რომ მათ მარცვლებში უფრო მეტი ცილოვანი ნივთიერება და სახამებელია, ვიდრე პურეულ მარცვლებში. ამიტომ პარკოვან მცენარეულობის მარცვალი უფრო ნოყიერია პურეულის მარცვლეულზე და საქონლის გამოსაკვებად სრულებით თავისუფლად შეიძლება მათი ხმარება პურეულის ნაცვლად.



ლობიო: მარცხნით უ„ნიტრაგინოთ“ დათესილი. მარჯვნით კი „ნიტრაგინი“-ს ბაქტერიებით შეპყრობილ თესლისაგან ამოსული.


ესევე ითქმის მის კლერტებზე, რომელსაც საქონელი სიამოვნებით სჭამს.

გარდა ამისა ცერცოვანი მცენარე ნაკლებ აშრობს ნიადაგს, რადგან სისველეს ის ნიადაგის ქვედა ფენებიდან ეზიდება.

როცა პარკოვან მცენარეს პირველად სთესავთ იქ, სადაც ის არ თესებულა, პირველ წელიწადს ჩვეულებ-

რივ სუსტი მოსავალი იცის, რადგან ფესვებზე ჯერ განვითარებული არა აქვთ სასარგებლო ბაქტერიებით დასახლებული ძიძიბები.

ასეთ ბაქტერიების გამრავლების დასაჩქარებლად და დათესილ პარკოვან მცენარეების კარგად განვითარებისათვის შემოღებულია ხელოვნურად გამრავლება ანუ გადადება ამ ბაქტერიებისა.



ბალახის მოსავალი ორ თანაბარ ნაკვეთიდან: მარცხნივ ბაქტერიების დაუთესავად, მარჯვნივ „ნიტრაგინი“-ს ბაქტერიებით მოთესილი.

ეს გადადება ანუ გამრავლება ხდება ორნაირად: 1. იმ მიწის გადატანით, სადაც უწინ პარკოვანი მცენარე ითესებოდა და 2. საგანგებოდა დამზადებულ ბაქტერიებით, რომლებსაც გადაზიდებენ ახალ ნიადაგს ან თესლს.

პირველი საშუალება შეიძლება გამოდგეს იქ, სადაც ის მინდორი, საიდანაც იღებთ მიწას, იმდენად ახლოა ახალად დასათეს მიწასთან, რომ ნიადაგის ზედაპირის აღება და მისი გადატანა იაფად დაჯდება.

ამიტომ უპირველესობას მეორე საშუალებას აძლევენ, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: გერმანიაში, ლაბორატორიებში უკვე ამზადებენ აზოტის მკრეფელ ბაქტერიებს. სახელებიც კი დაარქვეს ამ მიწის გამნოყიერებელ ბაქტერიებს.

ერთია „აზოფიქსი“, რომლებიც დანიშნულია პურეულ, ზეთოვან, ბოქკოვან მცენარეებისათვის და აგრეთვე ბოსტნეულის და ხეხილისათვის.

მეორეა „ნიტროგინი“ თვით პარკოვან მცენარეებისათვის.

ამ სასარგებლო ბაქტერიებს ორნაირად ამზადებენ: 1. თხლად ბოთლებში და 2. მშრალად ბანკებში მიწასთან ერთად.

ერთი დიდი ბოთლი „ნიტროგინი“ სრულებით საკმარისია ერთი ჰექტარი მიწის ბაქტერიებით დასათესად (მისაბნევათ). არის უფრო მომცრო ჰურჭელი ერთ ჩარეკ ჰექტარის შესაყრელად.

ბაქტერიებს შეჰყრიან თესლს ან ნიადაგს. როცა თესლი ნაწამლია ფორმალინით ან სხვა წამლით, რომელიმე სოკოებრივ ავადმყოფობის წინააღმდეგ, მაშინ ბაქტერიების გადადება პირდაპირ ნიადაგზე სჯობია.

ამ შემთხვევაში თხელ „ნიტროგინს“ ბოთლიდან გადაასხავენ ცალკე სუფთა ჭურჭელში და დაასხავენ ზედ ცოტა მოდუღებულს და გაცივებულს ნაღებმოხდილ რძის ან შაქრის 1 % (პროცენტიან) წყალს და თან კარგად ურევენ.



ბაქტერიებით დასახლებული პარკოვან მცენარის ფესვებზე გამოსხმული ძიძიბები

მერე აიღებენ ბოსტნიდან წმინდათ გაცრილ მიწას, დაახლოებით 144 კილოგრამს (9 ფუთს), დაასხამენ ზედ

თხლად მომზადებულ „ნიტროგენს“ და კარგად აურევენ. მერე ამ მიწას გააბნევენ ხელით ან სათეს მანქანით და ჩაფარცხავენ.

თესლზე ბაქტერიების მობნევაც თითქმის ასევე ხდება. თითქმის ამ წესითვე ხდება მშრალად მომზადებულ ბაქტერიების გამრავლება (გადადება) ნიადაგში.

„ნიტროგინი“-ს მობნევა ღრუბლიან დღეში უნდა, რადგან ბაქტერიები მზის სხივ[illegible] იღუპებიან.

„ნიტრო[illegible]“-ს და „აზოფიქსი“-ს გავლენა მ[illegible]არის ზრდაზე, განვითარებაზე, მოსავლის გადიდებაზე მრავალ გ[illegible]ცდილებით დამტკიცებულია.

მიღებული ზედმეტი მოსავალი თავისუფლად ანაზღაურებს გაწეულ ხარჯებს და ზედმეტი მოგებაც რჩება, რასაც აქ მოყვანილი სურათები ამტკიცებენ.

ნ. ა—ლი.

გამოსადეგი ცოდნა

რისგან უნდა მომზადდეს ღვინის გადასაზიდი ჭურჭელი

გადასაზიდი ბოჩკა რაც უნდა წინასწარ კარგად შენახული იყოს, ღვინის ამოღების დღეს ერთხელ მაინც უნდა გაირეცხოს და გოგირდი ებოლოს.

ხანდახან კაცს ძალაუნებურად ისეთ ბოჩკებით უხდება გაგზავნა, რომელშიაც დაძმარებულ, დაჭანგებული ღვინო იდგა.

ასეთ შემთხვევაში ღვინის პატრონი ასე უნდა მოიქცეს:

თუ ბოჩკას მოხსენით საცობი და ძმრის სუნი გეცათ ცხვირში, ასეთი ჭურჭელი აუცილებლივ უნდა გარეცხოთ. გასარეცხად იხმარეთ **ნატრიუმის მწვავე მტუტი,** რომელსაც ვაჭრობაში **კაუსტიკურ სოდას** ეძახიან (ესევე სოდა იხმარება საპნის გასაკეთებლად). ორ ვედრო მდუღარე წყალზე უნდა აიღოთ ორი გირვანქა ნატრიუმის მწვავე ტუტი და ამ ხსნარით უნდა გარეცხოთ ჭურჭელი. ამის შემდეგ ბოჩკა კიდევ უნდა გამოირეცხოს მარტო თბილი წყლით ან ორთქლით.

გამონარეცხი უნდა გაასინჯოს ლაკმუსის ქაღალდით, რომელიც შაბიამანის მომზადების დროს იხმარება და ყველა აფთიაქში იშოვება. როგორც იცით, ეს ქაღალდი ორფერია: წითელი და ლურჯი. აიღეთ ლაკმუსის ქაღალდის ნაჭერი და ჩააწებეთ უკანასკნელ ნარეცხში. თუ ლაკმუსის ქაღალდმა ფერი არ იცვალა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბოჩკაში აღარც ტუტია და აღარც სიმჟავე და ბოჩკა მზად არის ღვინის ჩასასხმელად.

მაგრამ თუ ლურჯი ლაკმუსის ქაღალდი წითლად შეიღება გამონარეცხში, სჩანს ბოჩკაში სიმჟავე კიდევ არის და საჭიროა კიდევ ნატრიუმის მწვავე ტუტით გარეცხვა. პირიქით თუ წითელი ლაკმუსის ქაღალდი ნარეცხში გალურჯდა, მწვავე ტუტა მეტი მოსულია და მანამ უნდა რეცხოთ ბოჩკა მარტო თბილი წყლით, ვიდრე ნარეცხი წყალი ლაკმუსის ქაღალდისათვის მიუღებელი არ გახდება, ესე იგი, როგორც ზევით ვთქვით, წითელი ქაღალდი წითლად დარჩება, ლურჯი კი ლურჯათ, როცა მათ უკანასკნელ ნარეცხში ამოავლებთ.

თუ ასეთი სიფრთხილით დაამზადებთ ღვინის ჭურჭელი ყოველივე ხიფათს თავიდან აიცილებთ.

ვ. ბიბილაშვილი.

რედაქტორი-აგრონომი ნ. აღნიაშვილი. რედაქტორი სარედაქციო კოლეგია.

მთავლ. № 2124 გამომცემლობა „ახალი სოფელი“ ტირაჟი 5.000.

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა, № 68.

ა 9846
1928

1928 წლის 1-ლ დეკემბრიდან გაზ

„ახალი სოფელი"

გამოვა კვირაში ორ[illegible]ერ—**ხუთშაბათობით** და **კვირაობით**. გაზეთის ნომერი იქნება **რვა გვერდიანი.**

გაზეთი გამოვა ჩვეულებრივი შინაარსით. მასში იქნება აგრეთვე ლიტერატურული და სახუმარო განყოფილება.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ: სოფლის მასწავლებლებს, ქოხსამკითხველოს გამგეებს, გლეხკომის თავმჯდომარეებს, გლეხკორებს, კოოპერატივის მუშაკებს ან თვით რედაქციას.

გაზეთ „**ახალი სოფელი**-ს გავრცელებაზე გამოცხადებულია შეჯიბრი, რომელშიაც ყველას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. ვინც მოისურვებს შეჯიბრში მონაწილეობის მიღებას ან გაზეთის ჩვეულებრივ პირობებში გავრცელებას **მიეცემა 15 პროცენტი.**

გაზეთის წლიურ ხელისმომწერლებს დროგამოშვებით დაურიგდებათ გაზეთის უფასო დამატება—სხვადასხვა წიგნაკები.

ხელის მოწერის პირობები:

გაზეთი	ერთი წლით—2 მანეთი	
	6 თვით — —1 მანეთი	20 კაპ.
	3 თვით — — — — —70	„
ღირს:	2 თვით — — — — —50	„
	1 თვით — — — — —30	„

მისამართი: ტფილისი კოლადარსკის ქ., № 11. „ახალი სოფელი"-ს რედაქციას.

გაზეთ „ახალი სოფლის"-ს რედაქციასთან დაარსდა

გლეხური ლიტერატურის გამომცემლობა

„ახალი სოფელი"

გამომცემლობის მიზანია გამოსცეს და ფართოდ გააერცელოს გლეხობისათვის გასაგები ლიტერატურა ყოველი დარგიდან: პოლიტიკიდან, ლიტერატურიდან, მეურნეობიდან, მეცნიერებიდან და სხვ.

ყველა პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევა გამომცემლობა „**ახალი სოფელი**"-ს საშვალებით გამოსცეს, თავის ხაზით, სასოფლო ლიტერატურა და მიაწოდოს ის გლეხობას. 1928—29 საოპერაციო წლის განმავლობაში გამომცემლობას განზრახული აქვს 200 სხვადასხვა სახელწოდების ბროშიურის გამოცემა 2 მილიონი ტირაჟით.

გარდა წინედ გამოცემულ 23 წიგნისა კიდევ გამოიცა **ფ. მახარაძე**—**„სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია"** ფასი 10 კაპ.